ნაირა მამუკელაშვილი
ნინო როსტომაშვილი
ელზა გარაყანიძე

მუსიკა

I კლასი

მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი

გამომცემლობა „პეგასი“

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

მუსიკა

I კლასის
მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი

ავტორი	ნაირა მამუკელაშვილი ნინო როსტომაშვილი ელზა გარაყანიძე
რედაქტორი	ნათელა თუხარელი
დიზაინერ- დამკაბადონებელი	ინგა ნავროზაშვილი

გამომცემლობა „პეგასი“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568 105 467; 597 029 031
ელ.ფოსტა: bookpefasus@gmail.com
www.pegasus.ge

© გამომცემლობა „პეგასი“, 2018
© ნაირა მამუკელაშვილი, ნინო როსტომაშვილი, ელზა გარაყანიძე, 2018

გამოცემის წელი და რიგითობა 2018 წელი
ISBN 978-9941-9028-8-8

მასწავლებლის წიგნის სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ 5
შესავალი 6
სახელმძღვანელოს მიზნები და ამოცანები 7
მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი 11

I თავი. გარე სამყარო მუსიკაში
თემა: ხმების მრავალფეროვნება

გაკვეთილი 1. შესავალი 19
გაკვეთილი 2. ხმები სახლში და ქუჩაში 20
გაკვეთილები 3-4. ცოცხალი და არაცოცხალი 22
გაკვეთილი 5. „ყურშა და ბათურა“ 23
გაკვეთილი 6. მელა, კელა და დათვი 24
გაკვეთილი 7. ბუნების ხმები 26
გაკვეთილი 8. წვიმა 27
გაკვეთილი 9. „ჟუჟუნა წვიმა“ 28
გაკვეთილები 10-11. გუგული 28
გაკვეთილი 12. მამალი და გუგული 31
გაკვეთილი 13. „მომღერალი ჩიტები“ 32
გაკვეთილი 14. „ხმაური“ 34
გაკვეთილი 15. სასიამოვნო და არასასიამოვნო ხმები 35
გაკვეთილი 16. ცხოველები უცხოურ მუსიკაში 36
გაკვეთილი 17. შინაური ცხოველების „ანსამბლი“ 36
გაკვეთილი 18. ეთნოგრაფია და მუსიკა – გარე სამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ სიმღერებში 37
გაკვეთილი 19. ინსტრუმენტები 38
გაკვეთილი 20. „ინსტრუმენტები“ 41
გაკვეთილი 21. „მზე შინა და მზე გარეთა“ 43
გაკვეთილები 22-23. „ისტორიები და ხმები“ 44
I თავის შემაჯამებელი გაკვეთილები 24-26 ვმუშაობთ ჯგუფებში 46

II თავი. მუსიკა და ჩვენი ყოფა
I თემა: ყოფითი საგნები მუსიკაში

გაკვეთილები 27-30. საოჯახო ჭურჭელი და მათი ხმები 51
გაკვეთილები 31-33. ქილების „საკრავები“ 55
გაკვეთილები 34-37. დავხატოთ და ვიმღეროთ ნივთების ხმები 58
გაკვეთილი 38. საყოფაცხოვრებო ნივთების ხმები მუსიკაში 63
გაკვეთილი 39. დიდი და პატარა საგნების ხმები 65

გაკვეთილები 40-41. „საათების სიმღერები“ 66
გაკვეთილი 42. დიდი და პატარა მანქანები 68
გაკვეთილი 43. „პირველი“, „მეორე“, „მესამე“ 69
გაკვეთილი 44. „მატარებლობანა“ 70
გაკვეთილი 45. „მაღალი-დაბალი“ 72
გაკვეთილები 46-47. ეთნოგრაფია და მუსიკა – ყოფითი საგნები ხალხურ სიმღერებში 73
გაკვეთილი 46. ყოფითი საგნები ქართულ ხალხურ სიმღერებში 73
გაკვეთილი 47. ყოფითი საგნები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ სიმღერებში 74
გაკვეთილი 48. „მუსიკალური დიალოგები“ 75
II თავის I თემის შემაჯამებელი გაკვეთილი 49. მუსიკალურ-რიტმული კომპოზიციები 76

II თემა: თამაშები მუსიკაში

გაკვეთილები 50-52. ნელა და ჩქარა 79
გაკვეთილი 53. თამაშები მუსიკალურ ნაწარმოებებში 84
გაკვეთილი 54. „დამალობანა და დაჭერობანა“ 85
გაკვეთილი 55. „მუსიკალური თამაშები“ 87
გაკვეთილი 56. „ბურთაობა“ 88
II თემის შემაჯამებელი გაკვეთილები 57-58. თამაშები ჯგუფებში 92
აუდიო/ვიდეომასალის ჩამონათვალი 97
მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი 102
სანოტო დანართი 104
LMMS პროგრამის გამოყენება მუსიკის გაკვეთილებზე 122
დანართი 129

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

მუსიკის I კლასის მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი აგებულია ესგ-ზე დაყრდნობით მუსიკის სტანდარტით გათვალისწინებულ თემატიკაზე. წიგნი მოიცავს ორ თავს: I თავი. გარე სამყარო მუსიკაში; II თავი. მუსიკა და ჩვენი ყოფა.

თავების მიხედვით განხილულია სამი სასწავლო თემა: 1. ხმების მრავალფეროვნება; 2. ყოფითი საგნები მუსიკაში; 3. თამაშები მუსიკაში. რაც შეეხება თემის – გარე სამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში – საკითხებს, ისინი გადანაწილებულია პირველ და მეორე თავის გაკვეთილებში. ყოველი თემის ბოლოს მოცემულია გაკვეთილები, რომლებიც ამ თემის ფარგლებში შესრულებული აქტივობებით მიღებული უნარ-ჩვევების განმტკიცებას ემსახურება.

I თავის თემა „ხმების მრავალფეროვნება“ მოიცავს 26 გაკვეთილს, აქედან ბოლო 24-26 I თემის შემაჯამებელი გაკვეთილებია. პირველი თემა (26 გაკვეთილი) სახელმძღვანელოს მიხედვით დამუშავდება პირველ სემესტრში, ამავე სემესტრში 26 გაკვეთილის მომდევნო ოთხი გაკვეთილი თავისუფალი გაკვეთილებია.

II თავის I თემა – „ყოფითი საგნები მუსიკაში“ – წარმოდგენილია 23 გაკვეთილით (გაკვეთილები 27-49), აქედან გაკვეთილი 49 შემაჯამებელია. ხოლო II თავის II თემა – „თამაშები მუსიკაში“ – მოიცავს 9 გაკვეთილს (გაკვეთილები 50-58), აქედან გაკვეთილები 57-58 შემაჯამებელია. სახელმძღვანელოს მიხედვით მეორე სემესტრშიც გათვალისწინებულია 5-6 თავისუფალი გაკვეთილი.

მუსიკის პირველი კლასის მასწავლებლის წიგნში გაკვეთილები წარმოდგენილია აქტივობების სახით, თითეულ გაკვეთილში მოცემულია 2, 3 ან 4 აქტივობა. ყოველი აქტივობისთვის განსაზღვრულია წუთების რაოდენობა. წუთების ხანგრძლიობა პირობითია და სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

შესავალი

ადამიანზე, მის გრძნობებსა და განცდებზე მუსიკის ზემოქმედების განსაკუთრებული ძალა უდავოა, ამდენად, მუსიკალური აღზრდა მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. მუსიკის სასკოლო სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო სპეციალური მუსიკალური მონაცემების, ნიჭისა და უნარის მრავალმხრივ განვითარებას, არამედ დადებითი ზემოქმედება მოახდინოს პიროვნების, მისი აზრებისა და შეხედულებების, მისი სულიერი სამყაროს ფორმირებაზე.

მუსიკის, როგორც საგნის, მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია დაწყებით საფეხურზე მაშინ, როდესაც ბავშვის ბუნებრივი უნარები, მიდრეკილებები ბოლომდე არ გამოვლენილა და მათ გახსნა-წარმართვა სჭირდება. ამ ასაკში ბავშვს უჭირს მუსიკის აბსტრაქტული სახეების აღქმა და ორიენტირებისთვის მუსიკის აღსაქმელად მას ნაცნობი ხილული ანალოგიები სჭირდება. ამის განხორციელება შესაძლებელია მოსწავლისთვის ნაცნობი აქტივობებით – სიმღერა, ცეკვა, იმპროვიზაცია, თამაში, დაკვირვება და ა. შ., რომლებიც გარემოში არსებული ხილული სახეების მუსიკაში ამოცნობას ისახავს მიზნად. ეს კი, თავის მხრივ, ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების ამოქმედებას, ერთობლივ შემოქმედებით პროცესებში მათ ჩართვას.

I კლასის მუსიკის სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის მისია:

ა) მუსიკის სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

ბ) საბაზისო უნარების – წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

მუსიკის პირველი კლასის სახელმძღვანელო აგებულია ზოგადი განათლების სწავლა-სწავლების მიზნების გათვალისწინებით, რომლის მიხედვით მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს/განუვითარდეს:

კულტურული მემკვიდრეობის დაფასების და მასზე ზრუნვის უნარი;

ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებისა და დაფასების უნარი; საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი;

ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები;

ენის, როგორც შემეცნების, აზროვნების, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალების გამოყენების უნარი;

ინფორმაციის სხვადასხვა სიმბოლური ნიშნით გამოხატვის უნარი;

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და კვლევის უნარები;

ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;

სამყაროს ესთეტიკური აღქმის უნარი;

საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების საფუძველზე არჩევანის გაკეთების უნარი; დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებისა და იდეების ქმედებაში განხორციელების უნარი;

გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის უნარი რისკების გაცნობიერებით;

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, შენახვის, გაზიარებისა და გაანალიზების უნარი.

სახელმძღვანელოს მიზნები და ამოცანები

I კლასის მუსიკის სახელმძღვანელო მიზნად ისახავს:

1. უზრუნველყოს სიღრმისეული სწავლება: სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება;
2. განუვითაროს მოსწავლეს წარმოსახვა, შემოქმედებით-ასოციაციური აზროვნება და ემოციური სფერო;
3. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ზნეობრივ-ესთეტიკური გრძნობებისა და მუსიკალური გემოვნების ფორმირებას;
4. გამოუმუშავოს მოსწავლეებს ხელოვნების ნიმუშებისა და მუსიკის აღქმის, შეფასების, გარემოს შეცნობისა და მისი მხატვრული ასახვის უნარები და ამით ხელი შეუწყოს თვითგამოხატვის განსხვავებული საშუალებებისა და ფორმების დაუფლებას;
5. დაეხმაროს მოსწავლეებს შეისწავლონ ხელოვნების უნივერსალური ენა და მისი საშუალებით ეზიარონ ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებს;
6. განუვითაროს მოსწავლეს მუსიკალური სმენა, სასიმღერო უნარ-ჩვევები, რიტმის გრძნობა;
7. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ჩართვას შემოქმედებით საქმიანობაში;
8. მუსიკის სფეროში ცოდნის შეძენას, რომლის გარეშეც შეუძლებელია მუსიკის აღქმა და მუსიკალური ნაწარმოების შესრულება;
9. შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენასა და განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს და დაეხმარება მათ საკუთარი თავის შემეცნებასა და საკუთარი ძალებისადმი რწმენის გამომუშავებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებაში და ა.შ.

სახელმძღვანელო ემსახურება სტანდარტით გათვალისწინებული საკითხებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვიძებას და განვითარებას, მოსწავლეთა მიზიდვას და მათი საქმიანობის სტიმულირებას, შემოქმედებით პროცესებში მათ აქტიურ ჩართვას. სახელმძღვანელოთი გათვალიწინებული მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შედეგად მოსწავლეებს განუვითარდებათ სასწავლო მასალის ათვისების ზოგადი და სპეციალური უნარ-ჩვევები.

მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა და მისი გამოყენების წესი. კომპლექტაციის შემადგენლობის და გამოყენების ზოგადი მითითებები

პირველ კლასში მუსიკის, როგორც საგნის, სწავლებაში არ არის გათვალისწინებული მოსწავლის წიგნი და მოსწავლის სამუშაო რვეული, ამდენად, მასწავლებლის წიგნს უნივერსალური ფუნქცია ეკისრება. მასში დეტალურად არის გაწერილი ყოველი გაკვეთილის მსვლელობა. იმისათვის, რათა გაკვეთილებზე უზრუნველვყოთ თვალსაჩინოების გამოყენება, მასწავლებლის წიგნს დართული აქვს დანართი ფერადი ილუსტრაციების სახით. დანართში მითითებულია, რომელ გაკვეთილზე რომელი ილუსტრაცია უნდა იყოს გამოყენებული. მასწავლებელს შეუძლია ილუსტრაციებზე იმუშაოს უშუალოდ დანართის გამოყენებით ან დანართიდან დაამზადოს ქსეროასლები მოსწავლეთათვის დასარიგებელი მასალის სახით. სახელმძღვანელოს ახლავს აგრეთვე აუდიო და ვიდეომასალა, რომლებიც თავმოყრილია ყოველი შესაბამისი გაკვეთილისათვის გამიზნულ ელექტრონულ საქაღალდეში. საქაღალდეები დანომრილია და დასათაურებულია გა-

კვეთილების მიხედვით. ყოველი გაკვეთილის საქაღალდის გახსნის შემთხვევაში მასწავლებელი ნახავს აუდიო და ვიდეომასალას ამავე გაკვეთილის აქტივობების შესაბამისად.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში. საგნის სწავლებისა და დავალებების შესრულებისას გასათვალისწინებელი სამიზნე ასაკის თავისებურებები

ყოველი მოსწავლე უნიკალურია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური მონაცემებითა და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს; სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დადებით ურთიერთობებსა და ინტერაქციას; სადაც მოსწავლე დაფასებული და აღიარებულია, მით უმეტეს იმ პერიოდში, როდესაც უმცროსი ასაკის ბავშვის ცხოვრებაში ჩნდება ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, როგორიცაა სწავლის დაწყება. ამ ასაკის მოსწავლის სწავლების წარმატებით წარმართვისათვის მნიშვნელოვანია მისი ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებების გათვალისწინება. ბავშვთა ემოციური და გონებრივი თავისებურებების, მათი მიდრეკილებებისა და ინტერესების ცოდნა ეხმარება მასწავლებელს დაამყაროს კონტაქტი მოსწავლეებთან, წარმართოს მათი განვითარება, ხელი შეუწყოს და განავითაროს მოსწავლეთა ყველაზე საუკეთესო თვისებები, მათი სწავლებისა და აღზრდისას თავიდან აიცილოს მრავალი შეცდომა, რაც დიდ გავლენას მოახდენს მოსწავლეთა მომავალ ცხოვრებაზე.

ამ ასაკის ბავშვი ფიზიკურად ძლიერია, აქვს ჭარბი ენერგია, მაგრამ მისი ზრდის პროცესი არათანაბრად მიმდინარეობს, ამიტომ არ შეუძლია დიდხანს შეასრულოს დაძაბული ფიზიკური აქტივობა. მას სჭირდება დასვენების პერიოდები, ამასთან, სასწავლო საქმიანობა მოითხოვს კარგად განვითარებულ ყურადღებას. ბავშვს უნდა შეეძლოს წარმართოს ყურადღება სასწავლო ამოცანაზე, გარკვეული დროით შეინარჩუნოს ინტენსიური ყურადღება, გადაიტანოს იგი ერთი ობიექტიდან მეორეზე. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ნებისმიერი ყურადღება, სამაგიეროდ კარგად აქვს განვითარებული უნებლიე ყურადღება, ყველაფერი ახალი, მოულოდნელი, საინტერესო და ნათელი ადვილად იქცევს ბავშვის ყურადღებას. მათ არ შეუძლიათ ყურადღების წარმართვა დიდხანს ერთი მიმართულებით. თუ სამუშაო მონოტონურია, ბავშვი ვერ ასრულებს დავალებას, ამიტომ მუსიკის გაკვეთილების მსვლელობის დროს აუცილებელია საკლასო აქტივობები აიგოს ისეთი თანმიმდევრობით, რომ სასწავლო-შემეცნებითი ამოცანების გათვალისწინების გარდა, საშუალებას იძლეოდეს მოსწავლე გადაერთოს სხვა ტიპის საქმიანობაზე, რათა არ მოხდეს მისი ინტერესების, აქტიურობისა და ყურადღების დაქვეითება. საჭიროა გონებრივი აქტივობის ჩანაცვლება პრაქტიკული აქტივობებით (მოთელვითი სავარჯიშოები, სიმბოლოების ხატვა, სიმღერა, მუსიკალურ-რიტმული სავარჯიშოები, როლური თამაშები, ვერბალური და მუსიკალური ინტონაციური სავარჯიშოები და სხვ.). ყურადღებისა და აქტიურობის შენარჩუნებისთვის, ბავშვის აქტივობის ორგანიზებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია ისეთი მოტივაციის გამოყენება, როგორიცაა: მოსწავლის შექება დავალების კარგად შესრულების გამო, დადებითი, განმავითარებელი შეფასების გამოყენება.

უმცროსი ასაკის მოსწავლეებს ძალიან უყვართ თამაში. ამიტომ ხელოვნების რთული, აბსტრაქტული დარგის – მუსიკის, როგორც სასწავლო საგნის, სწავლება უნდა მიმდინარეობდეს მცირე დოზირებით, საკლასო აქტივობებში ისეთი მუსიკალური თამაშე-

ბის უხვი გამოყენებით, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ახალი კონკრეტული ჩვევების დაუფლებაში.

პირველი კლასის მოსწავლის აღქმა არასაკმარისად დანაწევრებულია, ამიტომ ამ ასაკის ბავშვი ხანდახან ურევს მსგავსი მოხაზულობის მქონე ობიექტებს. ბავშვი აღიქვამს ნიშნის, სიმბოლოს ზოგად გამოსახულებას. მათი აღქმა განისაზღვრება პირველ რიგში თავად ობიექტის მახასიათებლებით, ბავშვები ამჩნევენ საგნის თვალშისაცემ მკვეთრ თვისებებს (ფერი, ფორმა, ზომა). ამასთან, მათთვის დამახასიათებელია თვალსაჩინო-ხატოვანი მეხსიერება. ბავშვები უკეთესად იმახსოვრებენ კონკრეტულ საგნებს, მოვლენებს, სახეებს, ვიდრე განმარტებებსა და ახსნას. ამიტომ სასწავლო მასალის უკეთ დასამახსოვრებლად მუსიკის სწავლებისას გამოყენებული უნდა იქნეს დიდი რაოდენობით თვალსაჩნო მასალა. ამდენად, მუსიკის პირველი კლასის მასწავლებლის სახელმძღვანელოსათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია სწორად იქნეს შერჩეული თვალსაჩინო მასალა: ნახატები და სურათები, რომლებსაც მასწავლებელი გამოიყენებს გაკვეთილებზე, რაც მნიშვნელოვანწილად დაეხმარება მოსწავლეებს აღქმის ორგანიზებასა და განვითარებაში. აქვე უნდა ითქვას, რომ სასურველია მუსიკის გაკვეთილებზე ხშირად მივმართით ისეთ აქტივობებს, როდესაც მოსწავლეები თავად შეეცდებიან, კონკრეტული სიმბოლოების სახით, ნახატით გამოხატონ თვალით უხილავი, მოსმენილი აბსტრაქტული სახე-ხატები.

ძალზე მნიშვნელოვანია უმცროსი ასაკის მოსწავლეთა აღქმის სინთეზი მოქმედებასთან, აღქმა მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს მოსწავლის პრაქტიკულ საქმიანობას. მუსიკის, როგორც სასწავლო საგნის, აღქმა ბავშვისათვის უნდა ნიშნავდეს აქტივობის განხორციელებას ამ საგნის გამოყენებით, რაღაცის შეცვლას, კეთებას. ამიტომ მუსიკის სწავლებისას გაკვეთილზე დიდი დრო უნდა დაეთმოს პრაქტიკულ მოქმედებას, ისეთი აქტივობების განხორციელებას, როგორებიცაა: სურათების დათვალიერება, მათი აღწერა, მათი თანმიმდევრობით დალაგება, მსგავსება-განსხვავების პოვნა, სურათების მისადაგება მოსმენილ აბსტრაქტულ მუსიკალურ სახე-ხატებთან; ზღაპრების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა, მოსმენილი ზღაპრებისა და მოთხრობების საკუთარი და სხვადასხვა ნივთის ხმებით გახმოვანება და გაფორმება.

ცნობილია, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვმა შეიძლება ადვილად დაიმახსოვროს ობიექტურად აზრიანი, მაგრამ მისთვის გაუგებარი სიტყვები, ფრაზები. ამის მიზეზია უცნობი სიტყვების ჟღერადობისადმი მისი ემოციური დამოკიდებულება. პირველი კლასის ბავშვების მეხსიერების წამყვანი ფორმებია ემოციური და თვალსაჩინო-ხატოვანი მეხსიერება. ამიტომ მუსიკის გაკვეთილებზე ისინი არ უნდა გადავტვირთოთ მუსიკალური ტერმინოლოგიის რთული განმარტებებით, უმჯობესია საკლასო აქტივობები ისე წარვმართოთ, რომ თვალში საცემი, მათთვის ნათლად გასაგები პრაქტიკული საქმიანობით ადვილად და მყარად დაიმახსოვრონ საინტერესო მასალა, რომელმაც პრაქტიკული საქმიანობის პროცესში მათზე ემოციური ზეგავლენა მოახდინა.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს გააჩნიათ ლოგიკური აზროვნების ნიშნები, ბავშვის მსჯელობა, როგორც წესი, ემყარება კონკრეტულ მაგალითებსა და პირად გამოცდილებას. ამიტომ მუსიკის გაკვეთილებზე მეცადინეობისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კონკრეტული მაგალითების გამოყენებას, რადგან 6-7 წლის ასაკის ბავშვის აზროვნების განვითარება მიმდინარეობს კონკრეტულიდან აბსტრაქტულისკენ.

6-7 წლის ასაკის ბავშვისათვის დამახასიათებელია ეგოცენტრიზმი. ბავშვს არ შეუძლია შეხედოს საკუთარ თავს სხვისი პოზიციიდან. ეგოცენტრიზმი არ აძლევს ბავშვს საშუალებას გაიგოს სხვისი გამოცდილება, რომელიც ვერბალურად არის გამოთქმული.

ამდენად, ეგოცენტრიზმის დაძლევაში მუსიკის გაკვეთილებზე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ზღაპრის მოყოლა და მისი გაფორმება სხვადასხვა მოქმედების გამომხატველი ხმებით, როლური თამაშები და ურთიერთობა თანატოლებთან, სადაც მან თანაფარდობაში უნდა მოიყვანოს საკუთარი და სხვისი პოზიცია.

პირველი კლასის ბავშვის მეტყველების სემანტიკური მხარე შედარებით ღარიბია. სიტყვების მნიშვნელობას აკლია სიზუსტე, ხან ძალიან შევიწროებულია, ხან ზედმეტად ფართო. ბავშვებს სიტყვები ესმით პირდაპირი მნიშვნელობით. ამდენად, მუსიკალური ფრაგმენტების დახასიათებისას უმჯობესია მოსწავლეებს შევთავაზოთ სიტყვათა ჩამონათვალი, რომელთა შორისაც ისინი შეარჩევენ მათთვის მისაღებ სიტყვებს.

უმცროს სასკოლო ასაკში მოსწავლეთა ფანტაზიაც განიცდის ცვლილებებს. მათთვის თავიდან დამახასიათებელია ფანტაზიის პასიური ფორმა (წაკითხულის ან მოსმენილის საფუძველზე წარმოდგენის შექმნა), ხოლო შემდეგ ვითარდება ფანტაზიის აქტიური ფორმა (ქმნის ახალ წარმოდგენას). ფანტაზიის განვითარების მაღალი დონის მისაღწევად მუსიკის გაკვეთილებზე ხშირად უნდა მივმართოთ ისეთ აქტივობებს, როდესაც მათ საშუალება ეძლევათ დაასრულონ მათთვის უცნობი ზღაპარი და მოთხრობა. გაიმღერონ მუსიკალური მოტივები, შემდეგ კი გააგრძელონ და განავითარონ მელოდია...

უმცროს სასკოლო ასაკში ვითარდება არა მხოლოდ შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები, არამედ იქმნება ახალი პირობები ბავშვის პიროვნული ზრდისთვის. პიროვნულ ზრდაზე გავლენას ახდენს სასწავლო და თამაშის სიტუაცია, შრომითი აქტივობა და ურთიერთობები. 6-7 წლის ასაკში ბავშვი სოციალურად მეგობრულია. მათ უყვართ ჯგუფურ აქტივობებში და თამაშებში მონაწილეობა. ამდენად, ჩვენი მუსიკის პირველი კლასის მასწავლებლის სახელმძღვანელოში ხშირად მივმართავთ აქტივობებს ჯგუფებისა და რიგების მონაწილეობით. ეს ავითარებს თანამშრომლობის გრძნობას, ამასთან, ბავშვი უფრო თვითდაჯერებული ხდება, ვინაიდან ზოგად ფონზე მისი ცალკეული წარუმატებლობები ნაკლებად შესამჩნევია.

მუსიკის, როგორც სასწავლო საგნის, სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ვერბალური და არავერბალური (სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების, საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის უნარის განვითარებაზე; ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის (მაგ., სიტყვიერ ტექსტში ან მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, სიტყვიერი ტექსტისა და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების, სიტყვიერად გადმოცემული ინფორმაციის დიაგრამის სახით წარმოდგენისა და ა.შ.) უნარის განვითარებაზე.

მუსიკის პირველი კლასის სახელმძღვანელოს მიხედვით გაკვეთილებზე დასახული მიზნების განხორციელება შესაძლებელია მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შედეგად: სიმღერების შესწავლა, ვოკალური, რიტმული ან სხვა ტიპის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულება; მოსწავლეები განივითარებენ სასწავლო მასალის ათვისების უნარს, ზოგად და სპეციალურ უნარ-ჩვევებს.

გაკვეთილებზე მოსწავლეები მოისმენენ ხალხური და კლასიკური მუსიკის მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, ისაუბრებენ და იმსჯელებენ მოსმენილი მასალის შესახებ; მუსიკის გაკვეთილებზე მოხდება მოსწავლეთა ინტერესისა და შემოქმედებითი საწყისის გაღვიძება.

უნარ-ჩვევები. მუსიკის გაკვეთილებზე სასწავლო-შემოქმედებითი აქტივობების შედეგად მოსწავლეები შეიძენენ სხვადასხვა სახის სპეციალურ უნარ-ჩვევებს:

1. **მუსიკის მოსმენის უნარ-ჩვევები.** დღევანდელი მოსწავლე მომავალში უნდა გახდეს მსმენელი,რომელმაც უნდა გამოხატოს ინტერესი მუსიკალური ხელოვნების მიმართ და გამოავლინოს გემოვნება ამ მიმართულებით. ჩვენს მოსწავლეებს, მომავალ მსმენელებს, უნდა შეეძლოთ იმ მრავალფეროვან მუსიკალურ ნაწარმოებებს შორის, რომლებიც ჩვენ გარშემო ისმის, გამოარჩიონ ყველაზე ღირსეული, სათანადოდ შეაფასონ და მიიღონ სიამოვნება მისი მოსმენით.
2. **საშემსრულებლო ხელოვნების უნარ-ჩვევები (სოლო და გუნდური სიმღერა, მუზიცირება და ინსცენირება).** ამ დროს ინტენსიურად ვითარდება მუსიკალურ-შემოქმედებითი მონაცემები, ფართოვდება მუსიკის აქტიური აღქმის შესაძლებლობები. მოსწავლეებს უვითარდებათ იმპროვიზაციის უნარ-ჩვევები.

მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისათვის, მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მუსიკის სახელმძღვანელოში დიდი ადგილი ეთმობა საგანთაშორის კავშირებს, სახელმძღვანელო აგებულია ინტეგრირებული სწავლების პრინციპებზე.

სახელმძღვანელო უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მათ აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობაში.

მუსიკის, როგორც სასკოლო საგნის, სწავლებისათვის მასწავლებელმა აქტიურად უნდა გამოიყენოს ელექტრონული რესურსები, კომპიუტერული პროგრამები: LMMS და AUDACITI. აუცილებელია აგრეთვე მასწავლებელმა აქტიურად გამოიყენოს აუდიო/ვიდეომასალა, რომლებიც წარმოდგენილია ყოველი გაკვეთილის ცალკეული აქტივობებისათვის.

მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი

სახელმძღვანელოს თავები წარმოდგენილია თემების სახით, თემები კი თავის მხრივ მოიცავს გაკვეთილებს. თემის ფარგლებში წარმოდგენილი გაკვეთილების საშუალებით თანმიმდევრულად ხორციელდება შესწავლის მოტივაციის შექმნა, მასალის ათვისების შუალედური შემოწმება/შეფასება, შემაჯამებელი დავალებებით თემის სრული მასალის შეჯერება, მოსწავლეთა თვითშეფასება.

შეფასება

მასალის ათვისების შემოწმება/შეფასების მექანიზმის პრაქტიკული განხორციელების მიზნით სახელმძღვანელო ეყრდნობა ესგ-ის მოსწავლის შეფასების სისტემას (თავი VII.)

მუხლი 27. მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები:

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

მუხლი 28. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

მუხლი 29. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. **მოსწავლეები:** თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.

მუხლი 30. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

1. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

მუხლი 31. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

2. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

მუხლი 32. მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

შეფასება მუსიკაში

საგან მუსიკაში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც ავთენტური შეფასების პრინციპებს ემყარება. საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს:

1. **შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა:** მუსიკალური კომპოზიციის, თანხლების, მუსიკალური ლოგოტიპის შექმნა;

ქმნის მუსიკალურ კომპოზიციას	კომპოზიციის შექმნისთვის შეუძლია მხოლოდ საჭირო ნაწილების გამოყენება.	მოძიებული ნაწილებით ქმნის დაუსრულებელ მუსიკალურ კომპოზიციას.	მრავალფეროვანი მოძიებული მასალებით ქმნის მუსიკალურ კომპოზიციას. შექმნის პროცესში იყენებს შესაბამის კომპიუტერულ პროგრამას, ბიტებს, სხვადასხვა ეფექტსა და ინსტრუმენტს. იმპროვიზირებს.

ქმნის მუსიკალურ თანხლებას	მუსიკალური თანხლების შესაქმნელად არჩევს ინსტრუმენტებს.	მუსიკალური თანხლების შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს, შეუძლია მცირედი ეფექტების გამოყენება.	მუსიკალური თანხლების შექმნისას იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს, იმპროვიზაციას, რთავს სხვადასხვა ინსტრუმენტს, ეფექტს.
მუსიკალური ლოგოტიპის შექმნა	ლოგოტიპის შექმნისას იყენებს მხოლოდ ერთ სიმბოლოს.	მუსიკალური ლოგოტიპის შექმნისას იყენებს ორ, სამ სიმბოლოს.	მრავალფეროვანი სიმბოლიკის გამოყენებით ქმნის ლოგოტიპს.

საკლასო აქტივობებში ჩართულობა

აქტიური მონაწილეობა	საგაკვეთილო პროცესში იშვიათად მონაწილეობს მსჯელობაში.	ხშირად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში და მეტნაკლებად ერთვება მსჯელობაში.	მაქსიმალურად ჩართულია საგაკვეთილო პროცესში და ყოველთვის მონაწილეობს მსჯელობაში.
საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოდგენა	უჭირს გამართულად საუბარი, ხშირად ვერ ასაბუთებს საკუთარ აზრს	თითქმის ყოველთვის ასაბუთებს საკუთარ აზრს.	ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებას.
სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება	არ უსმენს სხვებს და არ აცდის აზრის დასრულებას.	უსმენს სხვებს და აცდის საუბრის დამთავრებას.	უსმენს სხვების მოსაზრებებს. კორექტულია და ამჟღავნებს პატივისცემას სხვისი აზრის მიმართ.

2. იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება: მოტივის და ცალკეული ინტონაციის სხვადასხვა ვარიანტის შექმნა და მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება;

იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება	შეუძლია მხოლოდ ერთი მოტივის გამოყენება. ვერ ასრულებს მრავალფეროვან სავარჯიშოებს.	შეუძლია ორი ან სამი მოტივისა და ინტონაციის გამოყენება სხვადასხვა სავარჯიშოს შესრულებისას.	მრავალფეროვანი მოტივებისა და სხვადასხვა ინტონაციის გამოყენებით ქმნის იმპროვიზაციულ სავარჯიშოებს.

იმპროვიზაციული სავარჯიშოების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება	მხოლოდ ერთი მოტივის გამოყენებით შესრულებულ სავარჯიშოს ვერ ასრულებს სხვადსხვა კონტექსტში.	რამდენიმე მოტივის გამოყენებით შესრულებლ სავარჯიშოს იყენებს სხვადასხვა კონტექსტში.	მრავალფეროვანი მოტივებისა და სხვადასხვა ინტონაციის გამოყენებით შექმნილ სავარჯიშოებს იყენებს სხვადასხვა კონტექსტში/ იმპროვიზირებს.

მოსწავლეზე ინდივიდუალური დაკვირვების წარმოების სარეკომენდაციო ფორმა

სახელი	
გვარი	
კლასი I	
თავი **I** გარე სამყარო მუსიკაში	***თემა*** ხმების მრავალფეროვნება
თარიღი	
დავალების პირობა	მუსიკალური კომპოზიციის, თანხლების შე-ქმნა;
კრიტერიუმი	*კომენტარი*
ქმნის მუსიკალურ კომპოზიციას	მრავალფეროვანი ხმებით შექმნა მუსი-კალური კომპოზიცია. შექმნის პროცესში გამოიყენა ხმის სხვადასხვა ეფექტი.

ჯგუფური მუშაობის დაკვირვების ჩანაწერების დაფა

კლასი

თარიღი

თემა

ჯგუფის №	№	მოსწავლის გვარი და სახელი	მზაობა ჯგუფური მუშაობის პირველ.		ჯგუფური სამუშაოს წარმართვა.		თანამშრომლობა		ხაზემაის ხმირად და დრიეღად მეხრეღება		კომენტარი
1	1										
	2										
	3										
	4										
	5										
	6										
2	7										
	8										
	9										
	10										
	11										
	12										
3	13										
	14										
	15										
	16										
	17										
	18										
4	19										
	20										
	21										
	22										
	23										
	24										
5	25										
	26										
	27										
	28										
	29										
	30										
	+	ჩართულია									
	-	არ არის ჩართული									
	V	გააუმჯობესა ჩართულობა									

I კლასის სახელმძღვანელოს თემატური ბლოკები მოიცავს: წინარე ცოდნას და გამოცდილებას, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე თემის მასალის შესასწავლად, დამყარებულია მჭიდრო კავშირი სხვა სასწავლო საგნებთან თემატურ ჭრილში (სხვა საგნებში ნასწავლ მასალასთან) და პრაქტიკულ საკითხებთან/ყოველდღიურ ცხოვრებასთან;

რადგან პირველ კლასში არ არის გათვალისწინებული მოსწავლის მუსიკის სახელმძღვანელო, მასწავლებლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ყველა გაკვეთილის სარეკომენდაციო სცენარი (მათ შორის სხვადასხვა ტიპის გაკვეთილი), ასევე სხვადასხვა სახის შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და მოსწავლის შეფასების მექანიზმები. მასწავლებლის სახელმძღვანელოს ახლავს ელექტრონული ფერადი დანართი, რომელ-

შიც თავმოყრილ თვალსაჩინო მასალას მასწავლებელი გამოიყენებს გაკვეთილების ცალკეულ აქტივობებზე.

გაკვეთილების სარეკომენდაციო სცენარები მოიცავს:

გაკვეთილის თემის მიზნებს ესგ-ის სტანდარტის შედეგთან/შედეგებთან მჭიდრო კავშირში ინდიკატორების მითითებით;

აქტივობებსა და შესაბამის რესურსებს, გაკვეთილის ორგანიზების ფორმებს;

ტიპურ დავალებებს, მრავალფეროვან სავარჯიშოებს, რომლებიც წარმოდგენილია განვითარებისა და გართულების გზით;

ესგ-ს შესაბამისად მუსიკის პირველი კლასის სახელმძღვანელოს მიხედვით მუსიკის სწავლების ორი მიმართულება იშლება და მიმდინარეობს პარალელურად, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში.

1. **შემოქმედებითობა და პრაქტიკა;**
2. **მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია.**

1. შემოქმედებითობა და პრაქტიკა

ამ მიმართულების უშუალო მიზანია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება. მოსწავლე ეუფლება გარე სამყაროში არსებული მოვლენების, სახეების მუსიკალური გამოხატვის სხვადასხვა ფორმას და გამომსახველობით ხერხს; მას უვითარდება პრაქტიკული უნარები, რაც ხელს უწყობს საკუთარი თავის აღმოჩენაში, გამოხატვასა და განვითარებაში: მღერის, უკრავს, ცდილობს შექმნას მუსიკა – მარტივი მელოდიურ-რიტმული კომპოზიციები. მხატვრული სახის, განწყობილების, ემოციის გადმოცემისას მოსწავლე იყენებს და ეუფლება ხელოვნების სხვა დარგების გამომსახველობით საშუალებებსაც – ცეკვას, გაითამაშებს თეატრალურ ეტიუდებსა და სცენებს, ხატავს, თხზავს ტექსტს.

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეს უვითარდება მუსიკალური სმენა და მეხსიერება, რიტმის გრძნობა, რასაც ხელს უწყობს რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები. მეოთხე კლასიდან ამას ემატება იმპროვიზაციული ელემენტები, რითიც შემოქმედებით საწყისს მეტი დატვირთვა ენიჭება. მოსწავლე პრაქტიკულად ეუფლება და იყენებს მუსიკალური ენის ნასწავლ ელემენტებს – განარჩევს და სხვადასხვა ხერხით გამოხატავს ბგერას, მეტრს, ტემპს, რეგისტრს, დინამიკურ ნიუანსებს, იმეორებს და აბოლოებს თანაკლასელის ან მასწავლებლის მიერ წამოწყებულ მელოდიას და ა. შ. მოსწავლე სწავლობს სიმღერას, ასევე სწავლობს მუსიკალურ დამწერლობას – ამოიცნობს, ჩაწერს და იყენებს ნასწავლ ნიშნებს.

შემოქმედებითი აქტივობების დროს – სიმღერა, დაკვრა, ცეკვა, პრეზენტაცია, სცენის გათამაშება – მოსწავლე წარდგება აუდიტორიის წინაშე, ეჩვევა და უყალიბდება წარდგენის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევა და ეჩვევა საკუთარი ემოციების, ქცევის მართვას. ეს აქტივობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, როდესაც მოსწავლე პერსონალურადაა პასუხისმგებელი საკუთარ გამოსვლაზე ან ჯგუფური. ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის დროს მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით თანამშრომლობაში, რომლის დროსაც საკუთარი ემოცია, თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია უნდა შეუთანხმოს საერთო ხედვას. მოსწავლეს უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა თანაგუნდელების მიმართ, ყალიბდება კოლექტივის წევრად და არ არღვევს გუნდის (სიმღერა, ცეკვა, ფერხული, სცენის გათამაშება) მთლიანობას.

ამავე მიმართულების ფარგლებში სასურველია მოსწავლე იყენებდეს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ისტ-ს) – აკეთებდეს აუდიოჩანაწერს; აუდიო და ვიდეო ინფორმაციის გასაზიარებლად იყენებდეს ინფორმაციის შესანახ მოწყობილობას; აჟღერებდეს ხმას, მუსიკალურ საკრავს ელექტრონულ გარემოში; შეარჩევდეს გამომსახველობით ხერხებს და ფონს მელოდიისთვის; იყენებდეს ჩაწერილ ხმას იმპროვიზაციის პროცესში.

2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია

მუსიკა, რომელიც აღიარებულია საკომუნიკაციო ენად, მრავალგვარი და მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მოსწავლე მუსიკის შესახებ მიღებულ ინფორმაციას აკავშირებს გარემოსთან, ყოველდღიურ მოვლენებთან და საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა საგნობრივ დისციპლინებთან. აღიქვამს მუსიკას, როგორც სამყაროს ნაწილს, იკვლევს და აკვირდება ხმის წარმოქმნის წყაროებს; ეჩვევა ხმოვან სამყაროსთან, მუსიკასთან კომუნიკაციას – მუსიკის მოსმენას, მუსიკისა და პერფორმანსის შეფასებას, აზრის ნათლად გამოთქმას, საკუთარი შეხედულების დასაბუთებას კამათის, მსჯელობის დროს შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, წიგნიერი ენით და ქცევის ნორმების დაცვით.

კამათისა და მსჯელობის დროს მოსწავლე აცნობიერებს, რომ მუსიკა ყველა დროისა და ხალხის კულტურისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია. ეცნობა და პარალელს ავლებს ეროვნულ და მსოფლიოს ხალხთა მუსიკალურ ტრადიციებს შორის. ქართულ ხალხურ საკრავებს აკავშირებს სხვა ერების ხალხურ საკრავებთან. მოსწავლე განასხვავებს ქართულ და მსოფლიოს ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებს.

I თავი
გარე სამყარო მუსიკაში

თემა: ხმების მრავალფეროვნება

დასამუშავებელი ცნებები: ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები, ხმაური, განწყობა, ინსტრუმენტი, ხმა, ბგერა, ტონის სიმაღლე, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი), ხმაბაძვითი სიტყვები

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ შეიძლება ჩაიწეროს ესა თუ ის ხმა? მუს.დაწყ.(I).3.

როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატების შესაქმნელად? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ დავაჯგუფოთ ხმები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოხატვა? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ აისახება გარე სამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერასა და პროფესიულ მუსიკაში? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

გაკვეთილი 1. შესავალი

დასამუშავებელი ცნებები: ხმა, ხმაბაძვითი სიტყვები

გამყვანი კითხვა:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, ფანქრები, საწერი კალმები, ყოფითი საგნები (ფინჯანი, პოლიეთილენის ბოთლი), წყალი.

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლებელი მიესალმება მოსწავლეებს, გაეცნობა მათ, ჰკითხავს: როგორი იყო სკოლაში მათი პირველი დღე. ისინი უპასუხებენ, მოჰყვებიან სხვადასხვა ისტორიას. მასწავლებელი განაგრძობს საუბარს: დღეს მუსიკის პირველი გაკვეთილი გვაქვს. თქვენი აზრით, რა უნდა გავაკეთოთ მუსიკის გაკვეთილზე. სავარაუდოდ, მოსწავლეები უპასუხებენ: ვიმღერებთ, ვიცეკვებთ. მასწავლებელი აგრძელებს შეკითხვების დასმას: ადრე თუ გიმღერიათ? სად გიმღერიათ, რომელი სიმღერები გიმღერიათ? (მოსწავლეები სავარაუდოდ უპასუხებენ: საბავშვო ბაღში, სადღესასწაულო ცენტრში, ოჯახში. მოსწავლეები დაასახელებენ მათთვის ნაცნობ სიმღერებს). ვის გაქვთ სურვილი იმღეროთ კლასის წინაშე? სურვილის მიხედვით რამდენიმე მოსწავლე კლასს თავად წარუდგენს სიმღერას და შეასრულებს. მათი მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: სიმღერების მოსმენის შემდეგ, როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ, მსმენელები? შემსრულებლები უნდა დავაჯილდოვოთ ტაშით. მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად იწყებენ ტაშის დაკვრას.

აქტივობა 2 (მოთელვა 5 წთ.).

მასწავლებელი აპლოდისმენტებს გადააქცევს თანაბარ, რიტმულ ტაშად და სთხოვს მოსწავლეებს, მათაც ისე დაუკრან ტაში, როგორც თავად უკრავს, ტაშით აჰყვნენ მის ტაშს. ეს არის მოთელვითი სავარჯიშო, რომელიც ამ შემთხვევაში, პირველ გაკვეთილზე, გარკვეულწილად ასრულებს აპლოდისმენტების ფუნქციას. შემდეგ გაკვეთილებზე კი ეს სავარჯიშო ჩატარდება გაკვეთილის დასაწყისში. სავარჯიშო ტარდება ერთ

რიტმში. მასწავლებელი არ აჩერებს სავარჯიშოს მაშინაც კი, როდესაც კლასი არც თუ ისე ზუსტად იმეორებს მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ აქტივობებს. გარკვეული ხნის შემდეგ მასწავლებელს შეუჩერებლად შეაქვს პატარა ცვლილებები, ცვლის ტაშის ტემპს, ააჩქარებს ან შეანელებს და სთხოვს მოსწავლეებს, მათაც შეუჩერებლად შეცვალონ ტემპი. ამგვარად მასწავლებელმა შეიძლება რამდენჯერმე შეცვალოს ტემპი და მოსწავლეებიც შესაბამისად ცვლიან ტემპს.

რიტმული სავარჯიშოები მოთელვის სახით უნდა შესრულდეს ყოველი გაკვეთილის დასაწყისში მთელი წლის განმავლობაში. სავარჯიშოს შესრულების მიზანია ტაშის დაკვრის დროს არ შეჩერდნენ, შეუჩერებლად ცვალონ ტემპი მასწავლებელთან ერთად. როდესაც მოსწავლეები გარკვეულწილად აითვისებენ ამ სავარჯიშოს შესრულების პრინციპს, მასწავლებელს შეუძლია შეუჩერებლივ შეცვალოს ხმოვანების სიძლიერე (ტაში დაუკრას ხან ხმამაღლა, ხან ხმადაბლა) და რიტმი (რიტმულ ფიგურაციაში გამოიყენოს სხვადასხვა გრძლიობის ნოტები), მოსწავლეები იმავე პრინციპით (შეუჩერებლად) უნდა აჰყვნენ მის ტაშს.

აქტივობა 3 (15 წთ.) .

მოთელვითი რიტმული სავარჯიშოს შესრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დაიცვან სრული სიჩუმე, დააკვირდნენ მასწავლებლის ქმედებას და მოისმინონ მისი მოქმედებით გამოწვეული ხმები. ისმის ქვემოთ ჩამოთვლილი ხმები: ფანქრის/კალმის დავარდნის ხმა, კაკუნი სხვადასხვა საგანზე, ნაბიჯების ხმა, კარის მიჯახუნების ხმა, ფინჯანში წყლის ჩასხმის ხმა. ყოველი ხმის გამოცემის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: რა ხმა გაიგონეთ? (ფანქრის/კალმის დავარდნის ხმა, კაკუნი ამა და ამ საგანზე, კარის მიჯახუნების ხმა, ნაბიჯების ხმა, ფინჯანში წყლის ჩასხმის და ა.შ.). მასწავლებელი, სურვილისამებრ, რომელიმე მოსწავლეს სთხოვს, გაიმეოროს მასწავლებლის ქმედებები და გამოიწვიოს იგივე ხმები. შემდეგ მასწავლებელი შეასრულებს სხვა თანმიმდევრობით მოქმედებებს და გაამეორებინებს სხვა მოსწავლეებს.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: ჩვენ ირგვლივ ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავი ხმა ისმის. ისწავლეთ ამ ხმების მოსმენა, ამისათვის აუცილებელია ყურადღებით მოუსმინოთ ხმებს თქვენ გარშემო, უნდა შეძლოთ მათი ერთმანეთისაგან გარჩევა და განსხვავება. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა საგნის, ცოცხალი არსებების, ბუნების მოვლენებისა და სხვა ხმები. ახლა კი გაიხსენეთ, იმის გარდა, რაც კლასში ამ ცოტა ხნის წინ ისმოდა, კიდევ რა ხმები გაგიგიათ? სად გაგიგიათ? რომელი ხმები მოგწონთ და რომელი არა? რატომ? შემდეგ კი ეს ხმები გაახმოვანეთ ხმაბაძვითი სიტყვებით. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მისაზრებებს. მასწავლებლის თხოვნით თითოეული მათგანი რიგრიგობით დაასახელებს და შეძლებისდაგვარად გაახმოვანებს ერთი რომელიმე საგნის ან მოვლენის ხმას.

გაკვეთილი 2. ხმები სახლში და ქუჩაში

დასამუშავებელი ცნებები: ხმა, ხმაბაძვითი სიტყვები, ბუნებრივი ხმები.

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ დავაჯგუფოთ ხმები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (5 წთ.).

გაკვეთილი დაიწყება მოთელვითი სავარჯიშოებით. ამ და შემდეგ გაკვეთილებზე მოთელვისათვის მასწავლებელი გამოიყენებს პირველი გაკვეთილის მეორე აქტივობაში შესრულებულ სავარჯიშოს.

აქტივობა 1 (12 წთ.).

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, როგორ იწყება მათი დღე: რომელ საათზე იღვიძებენ, ვისი ან რისი ხმა აღვიძებთ, მოსწავლეები სავარაუდოდ, ჩამოთვლიან: დედის, მამის, ბებოს, მამლის ყივილის, ჩიტების ჭიკჭიკის და ა.შ. მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები გაახმოვანებენ ამ ხმებს ხმაბაძვითი სიტყვებით. მასწავლებელი ეკითხება, როგორ ფიქრობთ, ეს ხმები ბუნებრივია თუ ხელოვნურად არის შექმნილი? რატომ ფიქრობთ ასე? მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს და ცდილობენ დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები (სავარაუდო პასუხი: ის ხმები, რომლებსაც ცოცხალი არსებები გამოსცემენ, ბუნებრივი ხმებია).

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება: რა მოქმედებებს ასრულებენ ისინი გაღვიძების შემდეგ და რა ხმები ესმით მათ ამ მოქმედებების შესრულების დროს? მოსწავლეები იხსენებენ და შეძლებისდაგვარად ხმით ახდენენ ამ ხმების იმიტირებას (ონკანის წყლის ხმა, კარის დახურვის ხმა, კიბეზე ჩასვლის და ა.შ.). მასწავლებელი მიმართავს კლასს: როდესაც მოდიხართ სკოლაში, რა ხმები გესმით ამ დროს? (ქუჩის ხმები: მანქანის, ავტობუსის, ადამიანების ნაბიჯები... შესაძლებელია გაიგონონ ცხოველების, განსაკუთრებით სოფლად, ძაღლის, კატის და ა.შ ხმები). მასწავლებლის თხოვნით ისინი იხსენებენ, შემდეგ კი რიგრიგობით, შეძლებისდაგვარად, გაახმოვანებენ ჩამოთვლილთაგან ერთი რომელიმე საგნის ან მოვლენის ხმას.

აქტივობა 2 (13 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სურათებს, რომლებზედაც გამოსახულია მოსწავლეების მიერ ჩამოთვლილი მოქმედებები, სულიერი არსებები თუ უსულო საგნები (მაგალითად: ბავშვები მღერიან, ცეკვავენ, გოგონა კიბეზე ჩადის, მაღვიძარა რეკავს, მოშვებული ონკანიდან წყალი მოდის, მაღვიძარა და ა.შ. იხ. დანართი, გვ. 1.). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ამ სურათებს დაუკავშირონ ხმები, რომლებიც მათ წინა დღეს გაიგონეს სკოლაში, სახლში, ეზოში, გზაში. მოსწავლეები აღწერენ სურათებს და უპასუხებენ მასწავლებლის შეკითხვებს, მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები, შეძლებისდაგვარად, გაახმოვანებენ სურათებზე ასახულ მოქმედებებს: წაიმღერებენ რამეს, დაუკრავენ ტაშს, ხმაბაძვითი სიტყვებით გააჟღერებენ კიბეზე ჩასვლის ხმებს, წყლის ხმას, ავტობუსის, მანქანის, მაღვიძარას და ა.შ. ხმებს.

აქტივობა 3 (5 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად (კითხვა-პასუხის საშუალებით) დაახარისხებს და ერთ მხარეს დააჯგუფებს ცოცხალი, სულიერი არსებების (ბავშვები, გოგონა კიბეზე...) და მეორე მხარეს არაცოცხალი, უსულო საგნების (მანქანა, მაღვიძარა, ავტობუსი, ონკანი....) სურათებს.

გაკვეთილი 3. ცოცხალი და არაცოცხალი

დასამუშავებელი ცნებები: ხმა, ხმაბაძვითი სიტყვები, ბუნებრივი ხმები, ტონის სიმაღლე, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი).

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ დავაჯგუფოთ ხმები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ შეიძლება ჩაიწეროს ესა თუ ის ხმა? მუს.დაწყ.(I).3.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან), ფანქრები, საწერი კალმები, საწერი ან სახატავი ფურცლები.

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს LMMS პროგრამაში შესრულებულ წინასწარ გამზადებულ აუდიოჩანაწერს – ცოცხალი არსებებისა და საგნების ხმებს (სემპლებს: კატის კნავილი, ძაღლის ყეფა, მანქანის ძრავის, მაღვიძარას ხმა). ამავე დროს, მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს შესაბამის სურათებს: (კატა, ძაღლი, მანქანა, მაღვიძარა იხ. დანართი, გვ.2). მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ ეს ხმები და შეუსაბამონ სურათებს, შემდეგ, მასწავლებლის თხოვნით, მოსწავლეები განასხვავებენ მოსმენილი ხმებიდან ცოცხალი არსებებისა და საგნების ხმებს. მასწავლებელი, მოსწავლეთა კარნახით, მოსმენილი ხმების მიხედვით დაფაზე განალაგებს ცალ მხარეს ცოცხალი არსებების და მეორე მხარეს უსულო საგნების სურათებს.

აქტივობა 2 (8 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სურათებს: მანქანა, მაღვიძარა, შემდეგ მოასმენინებს მანქანის ძრავისა და მაღვიძარას ხმებს და ჰკითხავს მათ: თქვენ მიერ მოსმენილი საგნების – მანქანის ძრავის და მაღვიძარას – ხმებიდან, რომელი იყო ხმამაღალი (ძლიერი) და რომელი ხმადაბალი (ჩუმი, სუსტი), რომელი ხმა იყო ბოხი და რომელი წვრილი? მოსწავლეები გაიმეორებენ ამ ხმებს, გამოთქვამენ ვარაუდებს, იმსჯელებენ და უპასუხებენ კითხვებს.

აქტივობა 3(12 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს მანქანის ძრავისა და მაღვიძარას ხმებს, სთხოვს მათ, მოიფიქრონ, თუ რა სიმბოლოებით შეიძლება ამ ხმების ჩაწერა. მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები მოიფიქრებენ და ცალ-ცალკე ფურცლებზე ჩახატავენ საგნების ხმების (მანქანის ძრავა, მაღვიძარა) შესაბამის სიმბოლოებს და თავიანთი სურვილით დაფაზე მანქანისა და მაღვიძარას სურათის გასწვრივ მასწავლებლის დახმარებით მიამაგრებენ მათ (სიმბოლოების მაგალითები იხილეთ დანართში).

გაკვეთილი 4. „ცოცხალი და არაცოცხალი“

დასამუშავებელი ცნებები: ხმა, ხმაბაძვითი სიტყვები, ტონის სიმაღლე, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი)

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ დავაჯგუფოთ ხმები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ შეიძლება ჩაიწეროს ესა თუ ის ხმა? მუს.დაწყ.(I).3.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან), ფანქრები, საწერი კალმები, საწერი ან სახატავი ფურცლები.

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ძაღლის ყეფისა და კატის კნავილის ხმებს. მასწავლებელი ეკითხება: თქვენ მიერ მოსმენილი ცხოველების – კატის, ძაღლის – ხმებიდან რომელი იყო ხმამაღალი და რომელი ხმადაბალი, რომელი იყო ხანგრძლივი და რომელი ხანმოკლე, რომელი იყო ბოხი ხმა და რომელი წვრილი? მასწავლებელი სთხოვს მათ, მოიფიქრონ, თუ რა სიმბოლოებით შეიძლება ამ ხმების ჩაწერა.

მოსწავლეები მოიფიქრებენ და ცალ-ცალკე ფურცლებზე ჩახატავენ ძაღლის ყეფისა და კატის კნავილის შესაბამის სიმბოლოებს და თავიანთი სურვილით დაფაზე მასწავლებლის დახმარებით მიამაგრებენ მათ (სიმბოლოების მაგალითები იხილეთ დანართში).

აქტივობა 2(15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილზე უჩვენებს 4 სურათს: 1. ბიჭუნა კუბებით აშენებს რაღაც ფიგურას, იქვე გვერდით ზის ფისო. 2. აშენებული კუბების ზემოთ გაიფრინა ბზიკმა; 3. ფისომ ისკუპა ბზიკის მიმართულებით, შემთხვევით წამოედო ბიჭუნას აშენებულ კუბების ფიგურას და დაანგრია; 4. გაბრაზებულმა ბიჭუნამ ფისო დატუქსა. (იხ. დანართი, გვ.3) მასწავლებელი სურათებს არეულად უჩვენებს. მოსწავლეებმა შინაარსის მიხედვით, თანმიმდევრულად, უნდა დაალაგონ სურათები, თხრობით ჩამოაყალიბონ შინაარსი და იმსჯელონ, რა ხმები შეიძლებოდა გაეგონათ მათ სურათებზე ასახული მოქმედებების შესრულების დროს. გაახმოვანონ ეს ხმები ხმაბაძვითი სიტყვებით ან ბგერებით. მასწავლებელი კომპიუტერულ პროგრამაში მოასმენინებს ხმას: კუბიკების ერთმანეთზე დაწყობა; ბზიკის ბზუილი; კატის კნავილი; კუბიკების ნგრევის ხმა; ბიჭუნას ჩხუბი. მოსწავლეებმა მოსმენილი ხმები უნდა შეუსაბამონ სურათებს. მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება: იმ ხმებს შორის, რომლებიც თქვენ მოისმინეთ და გაახმოვანეთ, რომელი იყო ცოცხალი არსებების და რომელი საგნების? მოსწავლეები მსჯელობენ და უპასუხებენ კითხვას.

გაკვეთილი 5. „ყურშა და ბათურა“

დასამუშავებელი ცნებები: ხმა, ხმაბაძვითი სიტყვები, ტონის სიმაღლე, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი).

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა?მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ შეიძლება ჩაიწეროს ესა თუ ის ხმა? მუს.დაწყ.(I).3.

როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა სახე-ხატების შესაქმნელად? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ აისახება გარე სამყარო პროფესიულ მუსიკაში? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან), დაფა, ცარცი, ფანქრები, საწერი კალმები, საწერი ან სახატავი ფურცლები.

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ორი ძაღლის (დიდი – „ბათურა “ და პატარა – „ყურშა“) სურათს (იხ. დანართი, გვ.4). შემდეგ მოასმენინებს LMMS პროგრამაში შესრულებულ წინასწარ გამზადებულ აუდიოჩანაწერს პატარა ძაღლის – ლეკვის და დიდი ძაღლის ყეფის ხმებს. მოსწავლეებმა ხმაბაძვითი სიტყვებით უნდა გაიმეორონ ეს ხმები და განსაზღვრონ, რომელ სურათს რომელი ხმა მიესადაგება. როგორი ხმა აქვს დიდ ძაღლს და როგორი ლეკვს? რომელ ძაღლს აქვს ბოხი, ანუ დაბალი და რომელს წვრილი ანუ მაღალი ხმა. რომელი ძაღლი ყეფს ხმამაღალი, ძლიერი და რომელი ხმადაბალი, სუსტი ხმით? მასწავლებელი მოსმენილი ძაღლების ხმების გამოსახატავად ამ შემთხვევაში გამოიყენებს განსხვავებულ სიმბოლოებს. მასწავლებელი დახაზავს ოთხ პატარა კვადრატს, კვადრატებში ჩახაზულია ჰორიზონტალური მოკლე ხაზები – ზემოთ – მაღალი ბგერები, ქვემოთ – დაბალი ბგერები. ბაცად – ხმადაბალი, სუსტი ხმა, მუქად – ხმამაღალი, ძლიერი ხმა.

აქტივობა 2 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს **მ. დავითაშვილის საფორტეპიანო პიესას – „ყურშა“,** თუმცა არ უმხელს მათ ამ პიესის სახელწოდებას და სთხოვს მოსწავლეებს გამოიცნონ, რომელი ცხოველის სახე-ხატს შეესაბამება მოსმენილი პიესის პერსონაჟი. მოსწავლეებმა უნდა ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე. შემდეგ, როცა მოსწავლეები გამოიცნობენ, რომ მოსმენილ ნაწარმოებში ასახულია ძაღლის სახე-ხატი, მასწავლებელი სვამს კითხვას: როგორ ფიქრობთ, ამ ნაწარმოებში გამოხატულია დიდი ძაღლისა თუ ლეკვის სახე-ხატი? რატომ ფიქრობთ ასე? როგორ გადმოსცა კომპოზიტორმა ცხოველის სახე-ხატი, რას მიამსგავსა მუსიკალური მასალა? სასურველია მასწავლებლის კითხვების დახმარებით მოსწავლეებმა ამოიცნონ ყეფის ინტონაციები პიესაში. დასასრულ მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ერთად მსჯელობის გზით მივლენ დასკვნამდე, რომ ამ ნაწარმოებში კომპოზიტორმა (მუსიკის ავტორმა) გამოხატა ძაღლის („ყურშას“) სახე-ხატი. ამიტომ დაარქვა მას ძაღლის სახელი („ყურშა“). მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: როგორ ფიქრობთ, როგორი პერსონაჟია ყურშა? ავია იგი თუ არა? მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდი და ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე.

გაკვეთილი 6. მელა, კელა და დათვი

დასამუშავებელი ცნებები: ხმა, ხმაბაძვითი სიტყვები, ტონის სიმაღლე, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი).

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა?მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა სახე-ხატების შესაქმნელად? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ აისახება გარე სამყარო პროფესიულ მუსიკაში?

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, ხმის გამაძლიერებელი (დინამიკი), პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (10).

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ორ მოკლე ვიდეოს უხმოდ: 1. დათვი დაბაჯ-ბაჯებს, 2. კელა დაფრინავს. შემდეგ ასმენინებს ორი აუდიოჩანაწერის ფრაგმენტს: **რიმსკი-კორსაკოვი – „კელას გაფრენა"; რებიკოვი – „დათვი".** მასწავლებელი მოსწავ-ლეებს ეკითხება: როგორი ხმები გამოიყენეს ნაწარმოების ავტორებმა (კომპოზიტორებ-მა) სხვადასხვა ცხოველის სახე-ხატების შესაქმნელად?

მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელ ვიდეოს რომელი ნაწარმოები მიესადაგება და ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე (სავარაუდო პასუხები: ნაწარმოებში ისმოდა დაბალი, ბოხი ბგერები, დათვი გამოსცემს ასეთ ხმებს. ვიდეოში დათვი ნელა მიბაჯბაჯებდა, ნაწარმოებიც ნელა სრულდება და ა.შ. ე.ი. ამ ნაწარმოებში დათვის სახე-ხატია გამო-სახული. მეორე ნაწარმოებში ისმოდა ბზუილის მსგავსი ხმები, კელა ფრენის დროს გამოსცემს ასეთ ხმებს. კელა სწრაფად დაფრინავს, ნაწარმოებიც სწრაფად სრულდება. ნაწარმოებში ისმის მაღალი, წვრილი ხმები, დათვს არა აქვს ასეთი ხმა და ა.შ. ე.ი. ამ ნაწარმოებში კელას სახე-ხატია გამოსახული.

აქტივობა 2 (13 წთ.).

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, იცით თუ არა, რომ ზამთარში დათვები იძინებენ? მე თქვენ გიამბობთ ზღაპარს ამის შესახებ, თქვენ კი შეეცადეთ გაახმოვა-ნოთ ის ხმები, რომლებიც შეიძლებოდა გაგვეგონა იმ დროს, როცა ეს ამბავი ხდებოდა. გასახმოვანებლად გამოიყენეთ არა მხოლოდ თქვენი ხმა და მოძრაობა, არამედ სხვა საგნებიც. შემდეგ მასწავლებელი უამბობს მათ დათვისა და მელას ამბავს ნელა, ყველა მოსწავლისათვის გასაგებად. თხრობის დროს იგი ჩერდება, აკეთებს პაუზას იმ დროს, როცა საჭიროა ხმების გახმოვანება. ამასთან მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სუ-რათებს (იხ. დანართი, გვ.5.):

„ერთხელ ზამთრის ცივ საღამოს დათვი სახლში ბრუნდებოდა (მძიმე ნაბიჯების ხმა).
თბილად ეცვა დათუნიას, კოხტა ქურქი უხდებოდა.
იქვე გზაზე, ზედ ტყის პირას თურმე მელას სძინებია (მელას ხვრინვის ხმა),
დათუნიამ ვერ შენიშნა, კუდზე დაუბიჯებია (დაბიჯების ხმა).
გაეღვიძა მელას უცებ და შეჰყვირა ისე მკაცრად (მელას ხმამაღალი წრიპინი),
რომ შიშისგან დათვი სწრაფად პირველსავე ხეზე აძვრა (ფრჩხილებით ფხაჭვნა).
ამის შემდეგ დათუნიას მტკიცედ გადაუწყვეტია,
რომ ზამთარში არ იაროს, ტყეში არ იხეტიალოს.
მიაშურა თავის ბუნაგს (მძიმე ნაბიჯების ხმა),
შეძვრა თავის თბილ ბუნაგში (გამხმარ ფოთლებში ძრომიალის ხმა)
და მას შემდეგ ყოველ ზამთარს ასე სძინავს განცხრომაში (დათუნიას ხვრინვის ხმა).

მასწავლებელი ეკითხება: რომელ ცხოველს აქვს უფრო ძლიერი, ხმამაღალი ხმა: მელას თუ დათუნიას? რომელ ცხოველს აქვს უფრო ბოხი, დაბალი ხმა: მელას თუ და-თუნიას? რომელ ცხოველს აქვს უფრო სუსტი, ხმადაბალი ხმა: მელას თუ დათუნიას? რომელ ცხოველს აქვს უფრო წვრილი, მაღალი ხმა: მელას თუ დათუნიას? მოსწავლეები შესაბამისად უპასუხებენ.

აქტივობა 3 (7 წთ.).

მასწავლებელი კომპიუტერულ პროგრამაში მოასმენინებს მოსწავლეებს ხმების **სემპლებს**, რომლებიც ლექსში გადმოცემულ მოქმედებებს ასახავს. მოსწავლეები მიმ-იკებითა და ჟესტებით განასახიერებენ დათუნიას თავგადასავალს.

გაკვეთილი 7. ბუნების ხმები

დასამუშავებელი ცნებები: ხმა, ხმაბაძვითი სიტყვები, ბუნებრივი ხმები, ტონის სიმაღლე, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი).

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ დავაჯგუფოთ ხმები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ აისახება გარე სამყარო პროფესიულ მუსიკაში?

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს აღელვებული ზღვისა და ქარიან პეიზაჟებს, ფრინველების (მამალი, გუგული) სურათებს (იხ. დანართი, გვ. 6-7) და სთხოვს მოსწავლეებს შეძლებისდაგვარად გაახმოვანონ ხმები, რომლებიც ახლავს სურათებზე გამოსახულ ბუნების მოვლენებს და ის ხმები, რომლებსაც გამოსცემენ ეს ფრინველები. შემდეგ მოასმენინებს სურათებზე გამოსახული მოვლენებისა და ფრინველების ხმებს. იგი სთხოვს მოსწავლეებს, მოსმენილი ხმები ერთმანეთისაგან განასხვაონ და სურათების მიხედვით დააჯგუფონ: 1. ბუნების ხმები, 2. ფრინველების ხმები. მასწავლებელი მოსწავლეთა კარნახით დაფაზე დააჯგუფებს ერთ მხარეს ფრინველების (მამალი, გუგული), მეორე მხარეს კი ბუნების მოვლენების სურათებს. იგი მიმართავს მოსწავლეებს: ჩვენ უკვე ვიცით, რომ ცოცხალი არსებების მიერ გამოცემული ხმები ბუნებრივი ხმებია, როგორ ფიქრობთ, როგორი ხმებია ბუნების მოვლენების ხმები? ბუნებრივი თუ ხელოვნურად შექმნილი? მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს და ცდილობენ დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები.

აქტივობა 2 (10 წთ.).

LMMS პროგრამაში მასწავლებელი შეარჩევს ბუნებისა და ფრინველების ხმებს. იგი მოსწავლეებს არეულად მოასმენინებს ბუნების მოვლენებისა და ფრინველების ხმებს. მაგალითად: ზღვის ხმაური, მამლის ყივილი, ქარის ზუზუნი, წვიმის ხმა, გუგულის ხმა. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და გაახმოვანონ ხმაბაძვითი სიტყვებით ან ასო-ბგერებით ეს ხმები იმავე თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მოისმინეს.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს **პროკოფიევის პიესას „წვიმა და ცისარტყელა“ და შუმანის პიესას „მამაცი მხედარი“**. ის უჩვენებს წვიმიანი პეიზაჟის სურათს და ჰკითხავს მათ, მოსმენილი ორი პიესიდან, რომელი პიესა შეესაბამება სურათს? მოსწავლეები ამოიცნობენ და ახსნიან, რის მიხედვით გააკეთეს ასეთი დასკვნა (სავარაუდოდ, მოსწავლეები უპასუხებენ: ამოცნობილ პიესაში ისმის წვიმის წვეთების მსგავსი ხმაბაძვითი ხმები).

გაკვეთილი 8. წვიმა

დასამუშავებელი ცნებები: ხმა, ხმაბაძვითი სიტყვები, ბუნებრივი ხმები, ტონის სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი).

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ შეიძლება ჩაიწეროს ესა თუ ის ხმა? მუს.დაწყ.(I).3.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან), ფანქრები, საწერი კალმები, საწერი ან სახატავი ფურცლები.

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (12 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს წვიმის ხმას და სვამს კითხვებს: თქვენი აზრით, რის ხმა მოვისმინეთ? წელიწადის რომელ დროს მოდის წვიმა ხშირად? (შემოდგომა, გაზაფხული). წელიწადის რომელი დროა ამჟამად? (შემოდგომა). ხშირად წვიმს ამ შემოდგომას თუ არა? როგორი წვიმა არსებობს? (კოკისპირული, შხაპუნა, ჟუჟუნა...), რას ნიშნავს გამოთქმები: მზე პირს იბანს, ჟინჟღლავს? ძირითადად როგორი წვიმა მოდის შემოდგომაზე: კოკისპირული, შხაპუნა, ჟუჟუნა თუ ჟინჟღლავს? როდის აქვს წვიმას ძლიერი ხმა? როდის სუსტი? შემდეგ მასწავლებელი კომპიუტერულ პროგრამაში მოასმენინებს წვიმის სხვადასხვა ზომის წვეთების (დიდი, პატარა) ხმებს. მასწავლებელი დასვამს კითხვებს: რა იყო ეს, რა მოვისმინეთ? როგორია ეს წვეთი, დიდი თუ პატარა? რომელს ჰქონდა უფრო ძლიერი ხმა? რომელს უფრო სუსტი? რატომ? მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და ამოიცნონ, რა თანმიმდევრობით გაჟღერდა ეს ხმები. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს რაიმე მოქმედებით გაახმოვანონ წვიმის წვეთების ხმა (მაგ., წკიპურტების დარტყმა მაგიდაზე...წვიმის წვეთების გახმოვანება შესაძლებელია ხმაბაძითი სიტყვებით ან ასო-ბგერებით).

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს წვიმის ხმას, შემდეგ სთხოვს წარმოიდგინონ წვიმიანი ამინდი. როგორ უნდა ჩავიცვათ წვიმიანი ამინდის დროს? ჩამოთვალეთ, რა ნივთები არსებობს, რომლებიც გვიცავს წვიმისგან? თქვენ თუ სარგებლობთ ამ ნივთებით? რატომ არის საჭირო წვიმისაგან თავის დაცვა? მოსწავლეები მსჯელობენ, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მათ დახატონ (სიმბოლოებით გამოხატონ წვიმის წვეთები) წვიმა.

აქტივობა 3 (8 წთ.).

მასწავლებელი კვლავ მოასმენინებს მოსწავლეებს სხვადასხვა სიდიდის წვიმის წვეთების (დიდი, პატარა) ხმებს. მათ ხმების სიძლიერის მიხედვით უნდა ამოიცნონ დიდია თუ პატარა ეს წვეთები (მოსწავლეებს ამოცნობა აღარ გაუჭირდებათ, რადგან პირველ აქტივობაში უკვე შეასრულეს ეს სავარჯიშო). შემდეგ მასწავლებელი დაფაზე გამოაკრავს დიდი და პატარა წვეთების გამოსახულებას სხვადასხვა თანმიმდევრობით (ნიმუშები იხ. დანართში, გვ. 19). მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, როგორი ტაში შეესაბამება დიდ წვეთს და როგორი – პატარას (დიდი წვეთი – ხმამაღალი ტაში, პატარა წვეთი – ხმადაბალი ტაში). შემდეგ მოსწავლეები ტაშით გამოხატავენ დიდი და პატარა წვეთების თანმიმდევრობას.

გაკვეთილი 9. „ჟუჟუნა წვიმა“

დასამუშავებელი ცნებები: განწყობა, ხმა, ბუნებრივი ხმები, ტონის სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი).

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ აისახება გარე სამყარო ხალხურ სიმღერაში? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა.

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (12 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება: როგორი განწყობა გეუფლებათ წვიმიანი ამინდის დროს? მხიარული და ხალისიანია წვიმა თუ სევდიანი და მოწყენილი? მოსწავლეთა აზრების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მათ გაიხსენონ სიმღერები წვიმაზე. მოსწავლეები ჩამოთვლიან მათთვის ნაცნობ სიმღერებს წვიმაზე. მასწავლებელი ყურადღებას შეაჩერებს ხალხურ სიმღერაზე „ჟუჟუნა წვიმა“. მოასმენინებს მათ ამ სიმღერას, შემდეგ ჰკითხავს: როგორი განწყობაა გამოხატული სიმღერაში, მხიარული და ხალისიანი თუ სევდიანი და მოწყენილი, როგორ განწყობაზე დაგაყენათ მოსმენილმა სიმღერამ? ემთხვევა თუ არა სიმღერის განწყობა თქვენს წარმოდგენას წვიმიან ამინდსა და წვიმაზე?

მასწავლებელი მღერის სიმღერის „ჟუჟუნა წვიმა“ მისამღერს და სთხოვს მოსწავლეებს, სიმღერით აჰყვნენ მას. ასე შეუჩერებლივ სიმღერის დროს, როდესაც იგი მიხვდება, რომ მოსწავლეებმა გარკვეულწილად აითვისეს სიმღერის მისამღერის მოტივი, იგი წყვეტს სიმღერას და მოსწავლეებთან ერთად იწყებს შემდგომი სავარჯიშოს შესრულებას.

აქტივობა 2 (8 წთ.).

მასწავლებელი კლასს დაყოფს რიგების მიხედვით და დაუნაწილებს მათ სიმღერის – „ჟუჟუნა წვიმა“ – მისამღერის ფრაზებს. პირველი რიგები იმღერებენ: დანამა, დანამა, დანამა; მეორე რიგები იმღერებენ: დიდი მინდორი დანამა. მასწავლებლის მინიშნებაზე ჯგუფები ფეხზე დგებიან და შეასრულებენ თავიანთ „პარტიებს“. შესაძლებელია რიგებმა გაცვალონ „პარტიები“.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი განმეორებით მოასმენინებს მოსწავლეებს სიმღერას „ჟუჟუნა წვიმა“. შემდეგ სთხოვს მათ სიმღერით აჰყვნენ მის ხმას და ამგვარად, შეისწავლიან **ხალხურ სიმღერას „ჟუჟუნა წვიმა“**. მოსწავლეებმა სიმღერის შესრულების დროს შეძლებისდაგვარად უნდა გამოხატონ **სიმღერის განწყობა**. მას შემდეგ, რაც მთლიანად შეისწავლიან სიმღერას, მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები მეორე აქტივობის მსგავსად რიგების მიხედვით დაინაწილებენ **სიმღერის ფრაზებს** და თანმიმდევრულად შეასრულებენ სიმღერას ფეხზე წამოდგომით.

გაკვეთილი 10. გუგული

დასამუშავებელი ცნებები: ხმა, ხმაბაძვითი სიტყვები, ბუნებრივი ხმები, ტონის სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი).

გამყვანი კითხვა:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება: თქვენი აზრით, როგორ განწყობაზე არიან ფრინველები წვიმის დროს, მოწყენილები არიან თუ ისევ ისე ხალისიანად გალობენ? ხომ არ იცით, შემოდგომაზე, როდესაც ხშირია წვიმები და აცივდება, ფრინველები ჩვენთან რჩებიან თუ თბილ ქვეყნებში მიფრინავენ? იცით, რომელი ფრინველები მიფრინავენ თბილ ქვეყნებში? რომელი ფრინველები რჩებიან ჩვენთან? რომელი ფრინველების ხმები მოგისმენიათ? (მოსწავლეები, სავარაუდოდ, ჩამოთვლიან: მერცხალი, ბეღურა, იადონი, ბულბული...). მასწავლებელი უჩვენებს გუგულის სურათს და მოასმენინებს გუგულის ხმის ჩანაწერს. მასწავლებელი ეკითხება? იცით, რომელი ფრინველია ეს? მოგისმენიათ გუგულის ხმები? იცით დაახლოებით რა ბგერებს გამოსცემს იგი (გუ-გუ, კუ-კუ, ქუ-ქუ). მასწავლებელი განმეორებით მოასმენინებს გუგულის ხმის ჩანაწერს. მოსწავლეები ხმით აჰყვებიან ჩანაწერს. შემდეგ მასწავლებელი ეკითხება? როგორ ჟღერს გუგულის ხმები: თანაბრად თუ არათანაბრად? ამდაგვარ ბგერებს გამოსცემს კიდევ ერთი ნივთიც, რომელიც დროზე მიგვანიშნებს, ხომ არ იცით, რა ნივთია ეს? („გუგულიანი საათი“), მასწავლებელი აჩვენებს სურათს (იხ. დანართი, გვ.7) და მოასმენინებს მოსწავლეებს „გუგულიანი საათის“ ბგერებს, მოსწავლეები გაიმეორებენ „გუგულიანი საათის“ ხმას. მასწავლებელი ეკითხება: როგორი ხმა აქვს „გუგულიან საათს“, თანაბარი თუ არათანაბარი? შემდეგ მასწავლებელი ტაშის დაკვრით, **რიტმულად (სამწილად ზომაში) და შესაბამისი ინტონაციით** შეუჩერებლად გაიმეორებს გუგულის ხმის რიტმულ სურათს და სთხოვს მოსწავლეებს აჰყვნენ მას:

| | – | | – | | – | |

გუ-გუ გუ-გუ გუ-გუ გუ-გუ

დეფიზი „ — “ ამ შემთხვევაში ნიშნავს პაუზას.

მოსწავლეები აჰყვებიან მას და მასთან ერთად ტაშითა და შესაბამისი ინტონაციით გაახმოვანებენ გუგულის ხმას ხმაბაძვითი სიტყვებით/მარცვლებით: გუ-გუ.

მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს **ტემპი**, ააჩქაროს ან შეანელოს რიტმული სურათი, მოსწავლეებიც შეუჩერებლად, შესაბამის ტემპში უნდა აჰყვნენ მასწავლებელს.

აქტივობა 2 (15 წთ.).

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს შეასრულონ „გუგულიანი საათის სიმღერა“. იგი მიმართავს მოსწავლეებს: ჩვენ შევისწავლით „გუგულიანი საათის სიმღერას“, ამისათვის საჭიროა ცალკე შევისწავლოთ საათის სიმღერა, შემდეგ კი გუგულის სიმღერასთან ერთად შევასრულოთ. მასწავლებელი ერთ ტონში რიტმულად მღერის ორწილად ზომაში და სთხოვს მოსწავლეებს აჰყვნენ მას. მოსწავლეები იქვე აჰყვებიან მასწავლებლის ხმას:

წიკ-წიკ, წიკ-წიკ, წიკ-წიკ, წიკ-წიკ, წიკ-წიკ, წიკ-წიკ, წიკ-წიკ, წიკ-წიკ,...
ერ-თი, ო-რი, ერ-თი, ო-რი, ერ-თი, ო-რი, ერ-თი, ო-რი, ...

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გარკვეულწილად შეძლებენ საათის სიმღერის სწორად, რიტმულად შესრულებას, მასწავლებელი კლასს დაყოფს რიგებად და დაუნაწილებს პარტიებს. მოსწავლეთა რიგები მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეასრულებენ თავიანთ პარტიებს:

გუგულის პარტია:	გუ-გუ	–	გუ-გუ	–
საათის პარტია:	წიკ-წიკ,	წიკ-წიკ,	წიკ-წიკ,	წიკ-წიკ, ...
	ერ-თი,	ო-რი,	ერ-თი,	ო-რი, ...

შემდეგ რიგები გაცვლიან პარტიებს. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ დაიცვან **რიტმული ფიგურაცია და რიტმულად, თანაბრად შეასრულონ თავიანთი პარტიები.** ეს აქტივობა შესაძლებელია განმეორდეს შემდეგ გაკვეთილებზეც.

გაკვეთილი 11. გუგული

დასამუშავებელი ცნებები: ხმა, ხმაბაძვითი სიტყვები.

გამყვანი კითხვა:
როგორ აისახება გარე სამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერასა და პროფესიულ მუსიკაში? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა.

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს კითხვით: ხომ არ იცით სიმღერები, რომლებიც გუგულს ეძღვნება? მოსწავლეები შეეცდებიან გაიხსენონ. შესაძლებელია მათ გაიხსენონ მერი დავითაშვილის სიმღერა – „ჩემო პატარა გუგულო, პატარა მატარებელო“. მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს მერი დავითაშვილის სიმღერის – **„პატარა მატარებელი“** – ფრაგმენტს (შესავალი, სადაც ისმის მატარებლის სიგნალი გუგუუ და პირველი სტროფი). მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს სიმღერის ტექსტი – „ჩემო პატარა გუგულო, პატარა მატარებელო“, – რას ეძღვნება სიმღერა, გუგულს თუ მატარებელს? (სავარაუდო პასუხი: სიმღერა ეძღვნება მატარებელს). თუ სიმღერა მატარებელს ეძღვნება, მაშინ რა შუაშია გუგული? (სავარაუდო პასუხი: იმიტომ, რომ სიმღერის ავტორი მატარებლის სიგნალს ადარებს გუგულის ხმას). მასწავლებელი განმეორებით მოასმენინებს იმავე ფრაგმენტს, სადაც ისმის ხმაბაძვითი სიტყვები: „გუგუუგუგუ“. მოსწავლეები ამოიცნობენ ხმაბაძვით სიტყვებს.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: გუგულზე სიმღერებს მღერიან სხვა ქვეყნების ბავშვებიც. ახლა თქვენ მოისმენთ ორ გერმანულ სიმღერას, ყურადღებით მოუსმინეთ მათ და შეეცადეთ განსაზღვროთ, რომელი სიმღერა უფრო კარგად ასახავს გუგულის სახე-ხატს? მასწავლებელი **მოასმენინებს გერმანული ხალხური სიმღერების („**Auf einen Baum ein Kuckuck saß“, „ხიდან მღერის გუგული“; „Kuckuck rufts aus dem Wald“, „ტყიდან გვიხმობს გუგული“) ფრაგმენტებს. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს (შესაძლებელია მათი მოსაზრებები არ ემთხვეოდეს ერთმანეთს) და ცდილობენ დაასაბუთონ თავიანთი აზრები.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი განმეორებით მოასმენინებს გერმანულ ხალხურ სიმღერას „Kuckuck rufts aus dem Wald“ და სთხოვს მოსწავლეებს აჰყვნენ სიმღერის შესავალს და პირველ სტროფს (სათანადო ადგილას) ხმაბაძვითი სიტყვებით: „გუ-გუ“. მასწავლებელი მღერის მათთან ერთად. მასწავლებლის მინიშნებით მოსწავლეები შეასრულებენ დავალებას – ხმაბაძვითი სიტყვებით აჰყვებიან მასწავლებლის ხმას.

გაკვეთილი 12. მამალი და გუგული

დასამუშავებელი ცნებები: განწყობა, ხმა, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი), ხმაბაძვითი სიტყვები.

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ჩაიწეროს ესა თუ ის ხმა? მუს.დაწყ.(I).3.

როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატების შესაქმნელად? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ აისახება გარე სამყარო პროფესიულ მუსიკაში? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან), ფანქრები ან საწერი კალმები, საწერი ან სახატავი ფურცლები.

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი ჩაატარებს წინა გაკვეთილის მსგავს აქტივობას მამლის ყივილის ხმის გამოყენებით. იგი მოასმენინებს მოსწავლეებს მამლის ყივილის ხმის ჩანაწერს. განმეორებით მოსმენის შემდეგ მასწავლებელი თვითონ მღერის და სთხოვს მოსწავლეებს ტაშის დაკვრით, შესაბამისი ინტონაციითა და ხმაბაძვითი სიტყვებით მასთან ერთად გაიმეორონ მამლის ყივილის ხმის რიტმული სურათი (ოთხწილად ზომაში).

| | | | | | | | | | | |
ყიყ-ლი-ყო-ო, ყიყ-ლი-ყო-ო, ყიყ-ლი-ყო-ო

მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს ტემპი, ააჩქაროს ან შეანელოს რიტმული სურათი, მოსწავლეებიც შეუჩერებლად, შესაბამის ტემპში უნდა აჰყვნენ მას. აქტივობის ბოლოს მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: სავარჯიშოს სულ ერთნაირად ვასრულებდით თუ ვაჩქარებდით ან ვანელებდით ტემპს ხმაბაძვითი სიტყვის წარმოთქმის დროს? რომელი **ტემპი** უფრო შეეფერებოდა მამლის ყივილს, **ნელი თუ ჩქარი**? გავახმოვანოთ მამლის ყივილი ისე, როგორც ცხოვრებაში მოგვისმენია. მოსწავლეები გაახმოვანებენ მამლის ყივილს ისე, როგორც მათ რეალობაში მოუსმენიათ.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად გუგულისა და მამლის ხმების გამოყენებით შეასრულებს რიტმულ სურათებს

| | – – | | – –
| | | | | | | |

შემდეგ მიმართავს მოსწავლეებს: შევადაროთ მამლისა და გუგულის ხმები. რომელი ფრინველის ხმა ისმის უფრო გაბმულად, ხანგრძლივად და ხმამაღლა? რომელი ფრინველის ხმა არის უფრო მოკლე და ხმადაბალი? როგორი პირობითი ნიშნებით შეიძლება გამოიხატოს ამ ფრინველების ხმები? თქვენი აზრით, რომელ ხმას შეეფერება უფრო გრძელი ხაზი და რომელს – მოკლე? მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები მოიფიქრებენ და ცალ-ცალკე ფურცლებზე ჩახატავენ მამლის ყივილისა და გუგულის ხმის შესაბამის პირობით ნიშნებს; შეიძლება გამოიყენონ გრძელი და მოკლე ჰორიზონტალური ხაზები. მასწავლებელი დაფაზე მიამაგრებს მამლისა და გუგულის სურათებს. მოსწავლეები სურათების გასწვრივ მასწავლებლის დახმარებით მიამაგრებენ და შესაბამისად დააჯგუფებენ კიდეც თავიანთ ნამუშევრებს (ერთს გუგულის სურათის გასწვრივ, მეორეს მამლის სურათის გასწვრივ). შემდეგ განიხილავენ ნამუშევრებს. მოსწავლეები განმარტავენ თავიანთ ნამუშევრებში, როგორი სახით გამოხატეს ფრინველების ხმები და რატომ გადაწყვიტეს ასე (სიმბოლოების მაგალითები იხილეთ დანართში გვ.7).

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ქათმისა და გუგულის სურათებს (იხ. დანართი, გვ.7). მოასმენინებს მოსწავლეებს ორ მუსიკალურ ფრაგმენტს: **1. რამო – „ქათამი“, 2. დაკენი – „გუგული“.** იგი ეკითხება მათ: როგორ განწყობაზე დაგაყენათ მოსმენილმა ფრაგმენტებმა? რომელი ფრინველები წარმოგიდგათ თვალწინ, რომლებიც სურათზეა გამოხატული თუ სხვა? რომელ ფრინველს რომელი ნაწარმოები შეესაბამება. რომელ ნაწარმოებში აისახა ქათმის და რომელში გუგულის სახე-ხატი? რატომ ფიქრობთ ასე? განმეორებითი მოსმენის შემდეგ მოსწავლეები ამოიცნობენ და ახსნიან, რის გამო გააკეთეს ასეთი დასკვნა. მასწავლებელი დასვამს დამატებით კითხვებს: როგორ გადმოსცეს კომპოზიტორებმა ფრინველების სახე-ხატები, რას მიამსგავსეს მუსიკალური მასალა? სასურველია მასწავლებლის კითხვების დახმარებით მოსწავლეებმა ამოიცნონ ქათმის კაკანისა და გუგულის ხმის ინტონაციები პიესაში.

გაკვეთილი 13. „მომღერალი ჩიტები“

დასამუშავებელი ცნებები: განწყობა, ინსტრუმენტი, ხმა, ბგერა, ხმაბაძვითი სიტყვები.

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატების შესაქმნელად? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოხატვა? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ აისახება გარე სამყარო პროფესიულ მუსიკაში? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, ხმის გამაძლიერებელი (დინამიკი), აუდიომასალა, ვიდეომასალა, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1(10 წთ.).

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: სასიამოვნო მოსასმენია თუ არა ყველა ფრინველის ხმა? შეგიძლიათ დაასახელოთ ის ფრინველები, რომელთა ხმები არ მოგწონთ? ყვავი, ფარშევანგი... მასწავლებელი აჩვენებს ამ ფრინველების სურათებს (იხ. დანართი,

გვ.8), მოასმენინებს მათ ხმებს. სთხოვს მოსწავლეებს მოსმენილი ხმები დააკავშირონ სურათებთან და გაახმოვანონ ამ ფრინველთა ხმები. მოსწავლეები შეძლებისდაგვარად ახმოვანებენ ფრინველების ხმებს ხმაბაძვითი სიტყვებით ან ბგერებით. შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მათ: ახლა კი ჩამოვთვალოთ „მომღერალი ჩიტები“, რომელთა ხმების მოსმენა სასიამოვნოა. მოსწავლეები ჩამოთვლიან: მერცხალი, ბულბული, ტოროლა, იადონი, შაშვი....მასწავლებელი უჩვენებს სამ სურათს (ბულბული, ტოროლა, შაშვი (იხ. დანართი, გვ. 8)) და მოასმენინებს ფრინველების: ბულბულის, ტოროლას და შაშვის გალობას, მოსწავლეებმა მოსმენილი ხმები უნდა დაუკავშირონ სურათებს, შემდეგ კი მასწავლებლის თხოვნით შეეცდებიან გაახმოვანონ ამ ფრინველთა ხმები.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: გაგიჭირდათ თუ არა „მომღერალი ჩიტების“ ხმების გახმოვანება? ძნელია თუ არა? რატომ? მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და ცდილობენ მათ დასაბუთებას. შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: ახლა მოვისმინოთ, როგორ აისახა მუსიკალურ ნაწარმოებებში „მომღერალი ჩიტების გალობა“. მასწავლებელი უჩვენებს სამ მოკლე ვიდეოფრაგმენტს: **1. ბულბულის სიმღერის ფრაგმენტი მულტფილმიდან „ბულბულის იუბილე“**; **2. ალიაბიევის რომანსი „ბულბული“ მომღერლის (ლამარა ჭყონია) შესრულებით; 3. ალიაბიევის რომანსი „ბულბული“ ფლეიტის ინტერპრეტაციით.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ყურადღებით მოუსმინონ მუსიკას, გამოთქვან თავიანთი მოსაზრება და პასუხი გასცენ კითხვებს: რომელი ფრაგმენტი მოეწონათ, რომელი არა? რატომ? რომელ ფრაგმენტში ჰგავდა მუსიკოსების სიმღერა და დაკვრა ჩიტების „სიმღერას“, რომელში არა? რატომ? რომლის მოსმენა ურჩევნიათ, რომლის მოსმენა უფრო სიამოვნებთ, ჩიტების „სიმღერის“ თუ მუსიკოსების მიერ შესრულებული **მუსიკალური ნაწარმოებების**? რატომ? მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: ახლა მოგასმენინებთ ორ მუსიკალურ ფრაგმენტს, თქვენ უნდა ამოიცნოთ, რომელ მათგანშია ასახული ჩიტების სახე-ხატი და რომელში არა.

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ორი კონტრასტული საფორტეპიანო პიესის მოკლე ფრაგმენტებს **ჩაიკოვსკის „საბავშვო ალბომიდან“: „ტოროლას სიმღერა“, „როკაპი“ („ჯადოქარი“).** მასწავლებელი დასვამს კითხვებს: რომელ **მუსიკალურ ინსტრუმენტზე** ჟღერდა ეს მუსიკალური ნაწარმოებები? მსგავსი ხასიათის იყო ეს ნაწარმოებები თუ განსხვავებული? თქვენი აზრით, რომელ ნაწარმოებში არის ასახული ჩიტების სახე-ხატები? მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ და გადმოსცენ თავიანთი დამოკიდებულება მოსმენილი ნაწარმოებების მიმართ. შესაძლებელია მასწავლებელმა განმეორებით მოასმენინოს ეს ნაწარმოებები და დასვას დამხმარე, მიმანიშნებელი კითხვები: რომელ ნაწარმოებში ისმოდა წვრილი ბგერები, რომელში – ბოხი? ჩიტებს წვრილი ხმები აქვთ თუ ბოხი? მოსწავლეები მსჯელობენ, გამოთქვამენ ვარაუდებს და ცდილობენ დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები.

გაკვეთილი 14. „ხმაური“

დასამუშავებელი ცნებები: ხმაური, განწყობა, ხმა, ტონის სიმაღლე, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი), ხმაბაძვითი სიტყვები.

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატების შესაქმნელად? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოხატვა? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიოჩანაწერი, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1(10 წთ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს: ყოველმა მათგანმა კვლავ გაიხსენოს ხმები გარე სამყაროში და მიბაძოს ერთ რომელიმე ხმას. ამ შემთხვევაში მოსწავლეები ხმების იმიტირებას ახდენენ არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად. მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად შეთანხმდებიან, ვინ რომელი ხმის იმიტირებას გააკეთებს, შემდეგ მასწავლებლის თხოვნით და მისივე მინიშნებით ერთდროულად გაახმოვანებენ იმ ხმებს, რომლებსაც წინა აქტივობებში ცალ-ცალკე ახმოვანებდნენ. არ შეგვეშინდეს მოსწავლეთა აქტივობით გამოწვეული ხმაურის, რადგან აქტივობის მიზანი სწორედ ის არის, რომ მოსწავლეებმა ერთდროულად გადმოსცენ ის ხმები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ისმის მათ გარშემო. აქტივობის შესრულების შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მათ: მოგეწონათ თუ არა ის ხმები, რომლებიც ერთობლივად გამოეცით? სასიამოვნო მოსასმენი იყო ეს ხმები ერთობლივად თუ არა? რატომ? როგორ განწყობაზე დაგაყენათ თქვენ მიერ ერთობლივად გამოცემულმა ხმებმა? რა შეიძლება ვუწოდოთ ამ ხმების ერთობლიობას? ხმამაღალი იყო თუ ხმადაბალი თქვენ მიერ გამოცემული ხმების ერთობლიობა? მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ამ აქტივობით მიღებული ხმაური გამოსახონ ერთიანი სიმბოლოთი (ნიმუში იხ. დანართში, გვ. 19).

აქტივობა 2(10 წთ.).

მასწავლებელი მოასმენინებს LMMS პროგრამაში შესრულებულ აუდიოჩანაწერს: ერთდროულად ისმის რამდენიმე ხმა (ძაღლის ყეფა, კარის ჭრიალი და მიჯახუნება, კაკუნი, ბრახუნი, ადამიანის ყვირილი, მაღვიძარას, ადუღებულწყლიანი ჩაიდნის ხმები, ბავშვის სიცილი, დათვის ღრიალი, ქსილოფონზე შესრულებული მელოდია, ნგრევის ხმა....). მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: თქვენი აზრით, რა იყო ეს, რა მოისმინეთ? სავარაუდო პასუხები: ეს იყო რამდენიმე ხმის ერთდროული ჟღერადობა, ხმაური. მასწავლებელი აგრძელებს კითხვების დასმას. სასიამოვნო მოსასმენი იყო თუ არა ხმაური? რატომ? როგორ განწყობაზე დაგაყენათ მოსმენილმა? მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს.

აქტივობა 3(10).

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მაღვიძარას სურათს და მოასმენინებს მის ხმას, შემდეგ მიმართავს კლასს, ეს არის ერთ-ერთი ნივთი, რომლის ხმაც ისმოდა წინა აქტივობაში თქვენ მიერ უკვე მოსმენილი ხმაურის დროს. იგი სთხოვს მოსწავლეებს გაახმოვანონ ის ხმა, რომელსაც ეს საგანი გამოსცემს. შემდეგ მათთან ერთად გააანა-

ლიზებს, როგორია ეს ხმა? ხმამაღალია (ძლიერი) თუ ხმადაბალი (ჩუმი, სუსტი)? ბოხია თუ წვრილი? თანაბარია თუ არათანაბარი? მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და ცდილობენ მის დასაბუთებას. მაღვიძარას ხმას ადარებენ მისგან კონტრასტულ სხვა ხმებს (ბულბულის გალობა, მამლის ყივილი...).

გაკვეთილი 15. სასიამოვნო და არასასიამოვნო ხმები

დასამუშავებელი ცნებები: ხმაური, განწყობა, ხმა.

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის შესაქმნელად? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოხატვა? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა.

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: თქვენ უკვე მოისმინეთ სხვადასხვა ხმის ერთდროული ჟღერადობა, შემდეგ კი გაახმოვანეთ ერთ-ერთი ნივთის – მაღვიძარას ხმა, რომელიც ისმოდა სხვადასხვა ხმის ერთდროული გაჟღერების დროს. ახლა განმეორებით მოვისმინოთ ხმების ერთდროული ჟღერადობა და შევეცადოთ გამოვიცნოთ, კიდევ რა ხმები ისმის ამ დროს. მასწავლებელი განმეორებით მოასმენინებს LMMS პროგრამის აუდიოჩანაწერს (ძაღლის ყეფა, კარის ჭრიალი და მიჯახუნება, კაკუნი, ბრახუნი, ადამიანის ყვირილი, ბავშვის სიცილი, დათვის ბღავილი, ქსილოფონზე შესრულებული მელოდია, ნგრევის ხმა...). მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები, შეძლებისდაგვარად, ამოიცნობენ და დაასახელებენ ხმებს. მასწავლებელი LMMS პროგრამაში ცალკე-ცალკე გამოყოფს მოსწავლეთა მიერ ამოცნობილ და დასახელებულ ხმებს, ამგვარი გამოკლების პრინციპით ისინი შეეცდებიან გამოაცალკევონ ერთდროულად მოსმენილი ხმებიდან თითოეული ხმა.

აქტივობა 2 (8 წთ.).

გამოცალკევებული ხმებიდან მასწავლებელი შეარჩევს რამდენიმეს და თანმიმდევრულად მოასმენინებს LMMS პროგრამაში ჩაწერილ ამ ხმებს, მაგალითად: ბავშვის სიცილი, დათვის ბღავილი, ქსილოფონზე შესრულებული მელოდია, ნგრევის ხმა. მოსწავლეებმა იმავე თანმიმდევრობით უნდა გაიმეორონ ეს ხმები. შემდეგ უნდა დაასახელონ, რომელი ხმები იყო მათთვის სასიამოვნო მოსასმენი, რომელმა ხმებმა შეუქმნა ხალისიანი განწყობა. მოსწავლეებმა უნდა გაიმეორონ ეს ხმები და ახსნან, რატომ უქმნის მათ ეს ხმები ხალისიან განწყობას.

აქტივობა 3 (7წთ.).

მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ კიდევ რომელი ხმებია მათთვის სასიამოვნო მოსასმენი და შეძლებისდაგვარად გააჟღერონ ეს ხმები. შესაძლებელია მოსწავლეებმა აქვე დაასახელონ არასასიამოვნო ხმები, რომლებიც მათ უქმნის უსიამოვნო განწყობას (იწვევს შიშს, ანაღვლიანებს), განასახიერონ და გაახმოვანონ ეს ხმებიც.

გაკვეთილი 16. ცხოველები უცხოურ მუსიკაში

დასამუშავებელი ცნებები: განწყობა, ხმა, ბგერა, ტონის სიმაღლე, ხმაბაძვითი სიტყვები.

გამყვანი კითხვები:

როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოხატვა? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ აისახება გარე სამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერასა და პროფესიულ მუსიკაში? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა, ვიდეომასალა, პროექტორი, ეკრანი, ხმის გამაძლიერებელი (დინამიკი).

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს სხვადასხვა ენაზე შესრულებულ **სიმღერებს (1. როჯერსი, „მუსიკის ჰანგები", მარტოხელა „მწყემსი"; 2. „ფერმა"),** სადაც ხმაბაძვითი სიტყვებია გამოყენებული და სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ ისინი), შემდეგ სთხოვს მათ გამოიცნონ, რომელ არსებულ ხმას ბაძავს ეს სიტყვები და იპოვონ ანალოგიური სიტყვები ქართულ ენაში.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი მღერის ინგლისურ სიმღერას „ფერმა" ქართულ ენაზე: „ერთად ვცხოვრობთ ძველ ფერმაში ია ია ო". მოსწავლეები შეუჩერებლად აჰყვებიან მას და შეისწავლიან სიმღერის ერთ სტროფს.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს სამ მოკლე ვიდეოფრაგმენტს უხმოდ მულტფილმიდან **„მგელი და შვიდი თიკანი"**. 1. „მგელი საკბილოს დაეძებს"; 2. „თიკნები თამაშობენ"; 3. „დედა თხამ შვილებს რძე მიუტანა". შემდეგ მასწავლებელი მოასმენინებს სამ მუსიკალურ თემას ამავე მულტფილმიდან. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი თემა შეესაბამება მგლის, ბეკეკებისა და დედა თხის სახე-ხატებს. მოსწავლეებმა უნდა განმარტონ, რატომ გააკეთეს ასეთი დასკვნა. მათ უნდა ისაუბრონ, თუ როგორი ემოცია გამოიწვია მათში პერსონაჟების – მგლის, ბეკეკებისა და დედა თხის – ხმების მოსმენამ. მასწავლებელი კითხულობს? როგორი ბგერებით გამოხატა კომპოზიტორმა მგლის თემა: მაღალი, წვრილი თუ დაბალი, ბოხით? როგორი ბგერებით გამოხატა კომპოზიტორმა ბეკეკების თემა: მაღალი, წვრილი თუ დაბალი, ბოხით? მოსწავლეები მასწავლებლის კითხვების შესაბამისად გააანალიზებენ მოსმენილ მასალას და სათანადოდ უპასუხებენ კითხვებს.

გაკვეთილი 17. შინაური ცხოველების „ანსამბლი"

დასამუშავებელი ცნებები: განწყობა, ინსტრუმენტი, ხმა, ბგერა, ხმაბაძვითი სიტყვები.

გამყვანი კითხვები:

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა? მუს.დაწყ.(I).1,2.

როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოხატვა? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ აისახება გარე სამყარო პროფესიულ მუსიკაში? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ორ სურათს – ვირი და ცხენი (იხ. დანართი, გვ. 9); მოასმენინებს მათ ორ მუსიკალურ ფრაგმენტს: **სენ-სანსის პიესას „ვირი“, შუმანის პიესას, „მამაცი მხედარი“.** მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ სურათებზე გამოსახული ცხოველებიდან რომლის სახე-ხატია წარმოდგენილი ამ ნაწარმოებებში. მოსწავლეები მსჯელობენ, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და ცდილობენ მათ დასაბუთებას. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რა ხერხით გამოხატეს კომპოზიტორებმა ცხოველების – ცხენისა და ვირის სახე-ხატები? (ცხენი – მოძრაობით, ვირი – ხმით). რა განწყობა დაგეუფლათ ამ ნაწარმოებების მოსმენისას?

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ სხვადასხვა ცხოველის ხმაბაძვითი ბგერები და მარტივ მოტივზე წაიმღერონ. მაგალითად: ი-ა, ი-ა; ბზზ; მეე, მუუ და სხვ. მოსწავლეებმა უნდა ახსნან, რომელი ცხოველების სახე-ხატები გამოხატეს თავიანთი ხმაბაძვითი სიტყვებით.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: თქვენ შეასრულეთ სხვადასხვა ცხოველის ხმაბაძვითი „სიმღერები“. ახლა შეეცადეთ ერთობლივად იმღეროთ ეს „სიმღერები“. მოსწავლეები შექმნიან **„ეზოს ცხოველების ანსამბლებს“** და მასწავლებლის ხელმძღვანელობით ერთობლივად შეასრულებენ ცხოველების **„დუეტს“** (ძროხა, ვირი) ან **„ტრიოს“** (ძროხა, ვირი, თხა), შესაძლებელია გაიმღერონ სხვა ცხოველების „დუეტები“ და „ტრიოებიც“. მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს ერთმანეთის თანმიმდევრულად გაიმღერონ ორი ან სამი ცხოველის ხმაბაძვითი „სიმღერები“. შესაძლებელია მოსწავლეებმა ხმაბაძვითი „სიმღერები“ გაიმღერონ ერთობლივადაც. მასწავლებელი კომპიუტერში ჩაწერს მათ „სიმღერებს“ და გააჟღერებს კლასში.

გაკვეთილი 18. ეთნოგრაფია და მუსიკა

გარე სამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ სიმღერებში

დასამუშავებელი ცნებები: განწყობა, ხმა, ხმაბაძვითი სიტყვები.

გამყვანი კითხვები:

როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოხატვა? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ აისახება გარე სამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ეკრანი, ხმის გამაძლიერებელი(დინამიკი), ვიდეომასალა.

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (13 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს ქართულ ხალხურ სიმღერას „ჟუჟუნა წვიმა“. იგი იწყებს ამ სიმღერის მღერას და მიანიშნებს მოსწავლეებს, სიმღერით აჰყვნენ

მას. მოსწავლეები აჰყვებიან, მათ ერთ-ერთ წინა გაკვეთილზე (გაკვეთილი 9, „ჟუჟუნა წვიმა“) უკვე შეისწავლეს ეს სიმღერა.

მასწავლებელი კლასთან ერთად გაიმეორებს მეცხრე გაკვეთილის აქტივობას: კლასს დაყოფს რიგების მიხედვით და დაუნაწილებს მათ სიმღერის – „ჟუჟუნა წვიმა“ – ფრაზებს. I რიგი: ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, II რიგი: დიდი მინდორი დანამა. III რიგი: დანამა, დანამა, დანამა; IV რიგი: დიდი მინდორი დანამა. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ხალისიანად იმღერონ თავიანთი პარტიები. მასწავლებლის მინიშნებაზე ჯგუფები ფეხზე დგებიან და შეასრულებენ თავიანთ „პარტიებს“. ამის შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: ახლა თხრობით ჩამოვაყალიბოთ თქვენ მიერ ნამღერი ტექსტი: მოსწავლეები უპასუხებენ: წვიმა მოვიდა და მინდორი დანამა/დაასველა/მორწყა. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: კარგია თუ ცუდი წვიმამ რომ მინდორი მორწყა? რისთვის არის კარგი? (მცენარეებისათვის, მინდვრის ყვავილებისთვის). ე.ი. ამ სიმღერაში რა არის აღწერილი? მინდორი, რომელზეც ყვავილები ხარობს. გინახავთ ასეთი მინდვრები? სად გინახავთ? ლამაზია თუ არა? მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების საშუალებით მოსწავლეები უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ სიმღერაში ასახულია ბუნება (გარე სამყარო), მინდორი, სადაც ყვავილები ხარობს, პეპლები და ჩიტები დაფრინავენ, სადაც ზოგჯერ წვიმა მოდის და ახარებს მცენარეებს.

აქტივობა 2 (9 წთ.).

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: მოდით ახლა მოვისმინოთ და ვნახოთ, როგორ უმღერიან გარე სამყაროს, ფრინველებს, ცხოველებს სხვა ქვეყნების ხალხურ სიმღერებში. მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს და მოასმენინებს სამ მოკლე ვიდეოფრაგმენტს: **1. ნორვეგიული სიმღერა: En elefant kom masjerende; 2. გერმანული სიმღერა: Summ, Summ, Summ; 3. პოლონური სიმღერა: Wlazł kotek na płotek i mruga.** მასწავლებლის კითხვების შესაბამისად მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები: რომელ ცხოველებს უმღერიან მოსმენილ სიმღერებში, რომელი სიმღერა მოეწონათ ყველაზე მეტად? რატომ? რომელ სიმღერაში არის უკეთესად ასახული ცხოველების სახე-ხატები. გამოყენებულია თუ არა სიმღერებში ხმაბაძვითი სიტყვები?

აქტივობა 3 (8 წთ.).

მასწავლებელი განმეორებით აჩვენებს და მოასმენინებს მოსწავლეებს ნორვეგიულ სიმღერას: **En elefant kom masjerende** და სთხოვს მათ, მოძრაობებით აჰყვნენ სიმღერას, თან დაუკვირდნენ და ამოიცნონ, რის შესახებ მღერიან ამ სიმღერაში, რას გამოხატავს მოძრაობები, რომელსაც მომღერალი იყენებს? შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან თავიანთი ვარაუდები იმის შესახებ, თუ რას გამოხატავს მომღერლის მოძრაობები. შესაძლებელია მოსწავლეთა ვარაუდების საფუძველზე კლასმა შეთხზას პატარა მოთხრობა სიმღერის შინაარსის შესახებ.

გაკვეთილი 19. ინსტრუმენტები

დასამუშავებელი ცნებები: განწყობა, ინსტრუმენტი, ხმა, ბგერა, ტონის სიმაღლე, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი), ხმაბაძვითი სიტყვები.

გამყვანი კითხვები:

როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის შესაქმნელად? მუს.დაწყ. (I).1,2.

როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოხატვა? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ აისახება გარე სამყარო ხალხურ და პროფესიულ მუსიკაში? მუს.დაწყ. (I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, ინსტრუმენტი(ფორტეპიანო), კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა, ვიდეომასალა, პროექტორი, ეკრანი, ხმის გამაძლიერებელი(დინამიკი), თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1(15 წთ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ყურადღებით მოუსმინონ სიმღერას და უყურონ ვიდეოს, რათა განსაზღვრონ, რის შესახებ მღერიან ამ ფრაგმენტებში. იგი მოასმენინებს მათ **ქართული ხალხური სიმღერის – „ნამგალო“** – ფრაგმენტს, შემდეგ უჩვენებს და მოასმენინებს **ფრაგმენტს მულტფილმიდან „წუნა და წრუწუნა“** – მჭედლები შრომობენ, ჭედავენ იარაღს და მღერიან: „დღე და ღამე ლუკმა პურის შოვნაში“... მასწავლებელი კვლავ დასვამს კითხვას: რის შესახებ მღერიან ამ ფრაგმენტებში? რა ემოციებია გამოხატული სიმღერებში? (სავარაუდო პასუხები: პირველ ფრაგმენტში მღეროდნენ ნამგალზე, რომელსაც იყენებენ ყანაში მუშაობის დროს, სიმღერაში შეიგრძნობა, რომ მომღერლები დიდად აფასებენ, უყვართ და უფრთხილდებიან შრომის იარაღს, ნამგალს, რომელიც მათ შრომის პროცესში ეხმარება; მეორე ფრაგმენტში თაგვები მუშაობენ ურიებით და გვიყვებიან თავიანთი საქმიანობის შესახებ, მიუხედავად მძიმე ფიზიკური შრომისა, პერსონაჟები გულს არ იტეხენ და მაინც ხალისიან სიმღერას მღერიან...). მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს სურათს „ინსტრუმენტები“ (იხ. დანართი, გვ. 10). იგი ეკითხება კლასს: თქვენი აზრით, რა არის გამოსახული სურათზე? ჩამოთვალეთ თქვენთვის ნაცნობი ნივთები. ამ ნივთებს შორის თუ არის ის ინსტრუმენტები, რომელთა შესახებაც მღეროდნენ თქვენ მიერ მოსმენილ სიმღერაში? (მოსწავლეები ამოიცნობენ – ნამგალი), ამ ნივთებს შორის თუ არის ის ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ თაგვები შრომის დროს თქვენ მიერ ნანახ ვიდეოში? რომელი ინსტრუმენტებით მუშაობენ „მჭედელი თაგვები?“ (მოსწავლეები ამოიცნობენ – ურო), კიდევ რა შრომის იარაღებია გამოსახული სურათზე? სად და ვინ იყენებს მათ? რა დანიშნულებით იყენებენ მათ? მასწავლებელი ცდილობს კითხვები იმგვარად ჩამოაყალიბოს, რომ მოსწავლეებისაგან მიიღოს შემდეგი პასუხები: ეს ინსტრუმენტები გამოიყენება სხვადასხვა საქმიანობის დროს. მაგალითად, მაკრატლის საშუალებით შეიძლება გავჭრათ რამე, ჩაქუჩის საშუალებით შეგვიძლია ჩავასოთ ლურსმანი. ბრტყელტუჩა კი გვეხმარება ამოვაძროთ ჩასობილი ლურსმანი, დანით დავჭრით, ხერხით გავხერხავთ და ა.შ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ხმაბაძვითი სიტყვებითა და სხვადასხვა ნივთის საშუალებით, შეძლებისდაგვარად, გაახმოვანონ ამ ინსტრუმენტების ხმები. იგი ეკითხება მათ: ამ ხმებს შორის რომელია ხმამაღალი? რომელია ხმადაბალი?

აქტივობა 2 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს იმავე სურათს და სთხოვს მათ, ამოიცნონ, გარდა შრომის იარაღებისა, კიდევ რა ნივთებია გამოსახული სურათზე? მოსწავლეებმა შესაძლებელია დაასახელონ საკრავები ბავშვური ტერმინოლოგიით: პიანინო (ფორტეპიანო), დოლი (დაფდაფები), დუდუკი (საყვირი), გარმონი (აკორდიონი). მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, რომ ესენიც, ისევე როგორც სურათზე გამოსახული შრომის იარაღები, ინსტრუმენტებია. სურათზე გამოსახულ ყველა ამ ნივთს შეიძლება ვუწოდოთ ინსტრუმენტი. მაგრამ ყველა ეს ინსტრუმენტი სხვადასხვა დან-

იშნულებით გამოიყენება. თუ რა დანიშნულებით გამოიყენება შრომის ინსტრუმენტები, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, რაც შეეხება **მუსიკალურ ინსტრუმენტებს**, იცით თუ არა, რისთვის იყენებენ მათ? (სავარაუდო პასუხები: მათზე უკრავენ, მათი საშუალებით სრულდება მუსიკალური ნაწარმოებები).

მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს **მ. დავითაშვილის საფორტეპიანო პიესის – „ყურშა“** – ფრაგმენტს. იგი დასვამს კითხვებს: ხომ არ გეცნოთ მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოები. ადრე ხომ არ მოგისმენიათ? შეგიძლიათ დაასახელოთ, რა ჰქვია ამ ნაწარმოებს, რომელი ცხოველის სახე-ხატი შექმნა ნაწარმოების ავტორმა – **კომპოზიტორმა** მასში? თუ იცით სურათზე გამოსახულ რომელ **მუსიკალურ ინსტრუმენტზე** შესრულდა თქვენ მიერ მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოები „ყურშა“? მასწავლებელი კიდევ ერთხელ მოასმენინებს იმავე პიესას და ყურადღებას გაამახვილებს **ფორტეპიანოს** ჟღერადობაზე. თუ კლასში არის ფორტეპიანო, მოვასმენინოთ მოსწავლეებს მისი ჟღერადობა სხვადასხვა **რეგისტრში**. მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ამ ინსტრუმენტს ფორტეპიანოს უწოდებენ. ამ საკრავის სახელწოდება ორი სიტყვისაგან შედგება: ფორტე – ხმამაღლა, პიანო -ჩუმად. ფორტეპიანო კლავიშებიანი საკრავია. საშუალება მივცეთ მოსწავლეებს, შეეხონ **კლავიატურას**, გამოსცენ ბგერები. მასწავლებელი ეკითხება მათ: როგორი ბგერები აქვს ფორტეპიანოს: ბოხი ანუ დაბალი, წვრილი ანუ მაღალი თუ საშუალო? ფორტეპიანოს ჟღერადობა შესაძლებელია მოვასმენინოთ მოსწავლეებს LMMS პროგრამაშიც.